№ 17.

სახალხო გაზეთი

№ 17.

ოთხშაბათი, 26 მაისი 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆——

——◆ **დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

* * * ***ხელის-მომწერთა საყურადღებოდ*** * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

გამგეობა და საბჭო **ბათუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნაცნობთ და მეგობართ, რომ ოც-და-ოთხ მაისს გარდაიცვალა წევრი გამგეობისა

თავ. ნიკოლოზ პეტრესძე ნაკაშიძე.

გამოსვენება მიცვალებულისა დანიშნულია 26 ამ თვეს, წირვა დაიწ. დილის 10½ ს.-ზე ქვაშვეთის ეკლესიიდან კუკიის სასაფლაოზე.

ილია, ლევან, ივანე, ალექსანდრე და ელენე ნაკაშიძეები აუწყებენ ნათესავთა, მეგობართ და ნაცნობთ თავისი ძმის

ნიკოლოზ ნაკაშიძის

გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ ქვაშვეთის ეკლესიიდან კუკიის სასაფლაოზე ოთხშაბათს 26 მაისს. წირვა დაიწყება დილის 10½ საათზე. (1—უ.—1)

ნინო გიორგის ასული, ალექსი დესმას ძე ხუბუტიები შვილებითურთ, უსაზღვრო მწუხარებით მოცულნი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 5 ივნისს დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი შვილის—ქალთა გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფის

ალექსანდრას (საშა)

სულის მოსახსენებლად დ. ახალ-სენაკის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 9 ნახევარ საათზე. (1—ნ.—1)

ქართული სათავად-აზნაურო თეატრი
ხუთშაბათს, 27 მაისს 1910 წელსა

აკაკი წერეთელი

წაიკითხავს ლექციას

„ქართული არქეოლოგიური ნაშთები"

1. შესავალი, 2. შემოსევა აზიელ დამპყრობელთა: მურვანყრუსი, ჩინგისყაენისა, თემურლანგისა, ბაიაზეთისა, შახაბაზისა და სხვათა: 3. ამ შემოსევისაგან გადარჩენილი ნაშთები, 4. სალარო თვალსაჩინო არქეოლოგიურ სიძველისა, 5. ხალხის გადმოცემებში და ზღაპრებში დარჩენილი ნაშთები.

ფასები განახევრებულია **დასაწყისი დღის 12 საათზე.**

ხუთშაბათს, 27 მაის, საღამოს 8 საათზე,
სამეურნეო ბანკში დანიშნულია საზოგადო ჩვეულებრივი

კრება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. წაკითხულ იქნება პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტ ივ. ჯავახიშვილის მიერ რეფერატი ამ სათაურით:

◀● ეკონომიური მდგომარეობა საქართველოსი მონგოლების მფლობელობის დროს ●▶

ამასთანავე განიხილავენ საკითხს **მიწის შეძენის შესახებ მუზეუმისათვის** და ამოირჩევენ საზოგადოების ახალ წევრებს. კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრნენ. (1—უ.—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და ხას. 1—2 ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
ხობოლევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—186)

არიფანა-მაისობა

დანიშნული ედემის ბაღში, 27 მაისს ხუთშაბათს, ტფილისის ქართულ ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო სკოლის სასარგებლოდ

გადაიდო კვირისათვის 30 მაის

ევროპიულობით მოწყობილი ნომრები

● „იალბუზი" ●

გაიხსნა. ოლგინის ქუჩა, № 8. ოცი ოთახი ყოველგვარი მოწყობილობით, ცივი და თბილი ვანები. ნომრის ფასი 80 კ.—3 მ. 50 კ. თვიურად ფას დაკლებით. ზრდილობიანი მოსამსახურეები; სიწმინდე და ბეჯითობა.

(3—1) პატრონი **ზენო.**

ხუთშაბათს, 27 მაისს, 1910 წ.

ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ გაიმართება

● მუშტაიდში ●

დიდი სეირნობა

დილით ბავშვებისათვის, საღამოთი დიდებისათვის.

პროგრამა: ექიმ სობოლევსკის სურათები ეკრანზე აფრიკაში მოგზაურობიდგან (სურათი ეგვიპტის, სუდანისა და კონგოსი), „საქანელა", ოპერიდან „მხიარული ქვრივი", ფეიერვერკები, რუმინიელი ორკესტრი ნაციონალურ კოსტიუმებში, სამხედრო მუსიკა, ზურნა, გრამოფონი, ვარჯიშობა ბაირაღებით, თამაშობა გორაკზე და საქანელაზე, სირბილი ტომრებში საჩუქრებით, ბავშვების ცეკვა, ნიშანში სროლა, ბექდების სროლა, ციგნის ქალი-მკითხავი საჩუქრებით, კოშკი, დედოფალა, რულეტკა, ღია ბარათები საჩუქრებით, „პტი-შვო", „კონფეტტი", ყვავილები, ფოსტა. ყველასათვის ხელ-მისაწვდენი ბუფეტი. ქათამი—ავტომატი. ბაღი შესამჩნევად იქნება განათებული. დილის სეირნობა დაიწყება 10 საათზე, საღამოსი—ნაშუადღევს 4 ს.

შესასვლელი ფასი ბავშვებისათვის 10 კ. დიდებისათვის—20 კ.

დილის 10 საათიდან საღამოს 12 საათამდის ერევნის მოედნიდან მუშტაიდამდე ავტომობილები ივლიან. ფასი შესასვლელი ბილეთით 60 კაპ. ისე კი 50 კაპ. (3—უ.—2)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ა. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—349)

ექიმი შ. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.** საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბჯეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონ N 816. (0—100)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—132)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—73)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—51

ექიმი დ. ახვლედიანი იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელიზაბედის ქ. N 92. წლ.

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბლონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა. (0—586—444)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—191)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი ბავშვებისა ქუთაისში ბადრიძე 1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—ნ.—21

თელავის ვაჟთა პროგიმნაზიის მომწყობი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ამ 1910 წლის მაისის 28 და 29 დანიშნულია მთავრობის განკარგულებით, ბავშვების მისაღები გამოცდა. (3—3)

ივ. გრ. ხალათიანი

იღებს ყოველგვარ განცხადებას ადგილობრივ და სხვა ქალაქების გაზეთებისათვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს გაზეთ **„დროება"-ს კანტორაში:** დიდი ვანქის ქ., № 12. (0—21)

ზემო ავჭალაში იძლევა გარაკი ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.

იკითხეთ „სახ. გაზ." რედაქციაში.

სახელმწიფო სათათბირო

ს.-პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო

24 მაისის დილის სხდომა. თავმჯდომარეობს თავ. **ვოლკონსკი.** განაგრძობენ კამათს ფინლიანდიის საკითხის შესახებ. **სოკოლოვი 2,** პროგრესისტების სახელით, წინააღმდეგია კანონ-პროექტისა და აღნიშნავს, რომ მისი უმთავრესი მოტივი—რუსეთის სახელმწიფოებრივი შეგნების და ნაციონალიზმის განვითარება ვერავითარ კრიტკას ვერ გაუძლებს.—წინადადება შეაქვთ კამათის შეწყვეტის და ორატორების სიის 15 კაცით განსაზღვრაზე. კენჭის ყრით წინადადება მიიღება. **თავადი** ტენიშევი იცავს პროექტს და ამბობს, რომ რუსეთი ფინლიანდიას უნდა უცქეროდეს როგორც თავის დას, მაგრამ ამასთან მან არ უნდა დაივიწყოს თავისი პირმშოობა. მთლიანობა სახელმწიფოს კეთილდღეობის აუცილებელი თავმდებია.

დასვენების შემდეგ **გუჩკოვი** თავმჯდომარეობს. **როდიჩევი** გრძელს და საფუძვლიანს სიტყვაში კრიტიკას უკეთებს მინისტრთა თავმჯდომარის და მემარჯვენეთა მოსაზრებათ და ამტკიცებს, რომ მათი ნაციონალიზმი ამ შემთხვევაში მხოლოდ სხვის უფლებათა უპატივცემლობაში და ვიცეთ განმტკიცებულ აღთქმათა შეუსრულებლობაში იხატება. რუსეთისათვის ბევრად უმჯობესია, რომ ფინლიანდიაში ერთგული და ლოიალური ხალხი იყოლიოს, ვიდრე ბობრიკოვისებური რეჟიმით აღშფოთებული მეზობელი. ორატორი არღვევს მოწინააღმდეგეების ფინანსიურ მოსაზრებებს და ამბობს, რომ მონარქის სიტყვებისადმი რწმენას ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე წვრილმან ანგარიშებს; რუსეთის მართლმადიდებლობა კი, რომელზედაც მემარჯვენეები უთითებენ, უკვე დიდი ხანია პოლიციური რეჟიმის მიერ არის შებოჭილი. შეიძლება ფინლიანდიას უფლება წაართვან. შეიძლება ის უდაბნოდაც აქციონ, მაგრამ არავის ძალუძს მოჰკლას ამ ქვეყნის ეროვნული სული. მე ვიცი რომ საკითხი უკვე წინასწარ-გადაწყვეტილია, ამბობს ორატორი; მემარჯვენების დაჟინება უსარგებლოა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება: რუსეთის **ხალხის** უფლებრივი შეგნება ფეხით ითელება და მთელი ქვეყანა სირცხვილისა და უბედურებისკენ მიექანება, მარჯვნივ: „კმარა, კმარა; მარცხნივ ტაშისცემა).

ჩხეიძე. ამბობს, რომ ცენტრმა და მთავრობამ უკვე გადაყლაპა რუსეთის კონსტიტუცია და ეხლა ფინლანდიის გადაყლაპვასაც ფიქრობს; მაკლაკოვი კი იმას სცდილობს, რომ კონსტიტუციონური გზით ფინლიანდიის თავისუფლება დაჰკლას. რუსეთის ხალხმა კარგად იცის, რომ მას მექრთამე მოხელეები და ინტენდანტები ბევრად ძვირად უჯდება ვიდრე ფინლიანდია, რომელიც თავის ბედის მცდელი იყო ყოველთვის. —ინოროდცებს უყვართ გერცენის, ჩერნიშევსკის და პლეხანოვის რუსეთი... **პურიშკევიჩი** ადგილიდან: მარკოვების და პურიშკევიჩების რუსეთი... **ჩხეიძე:** არა! „ინოროდცებს" მხოლოდ ის რუსეთი უყვარს, რომელმაც ტოლსტოი, ტურგენევი, გრიბოედოვი წარმოშვა და რომელმაც თქვენი მესაფლავედა (ტაში მარცხნივ)

პურიშკევიჩი მსჯელობს ქეშმარიტებაზე, ეთიკაზე და ზნეობრივს იდეალებზე. მისი აზრით სუსტი უნდა დაემორჩილოს ძლიერს. ეხლა ისტორიას ამოძრავებენ არა პიროვნებანი და ხელმწიფეები, არამედ ეროვნებათა შეტაკებანი. ორატორს არ ესმის განსაკუთრებით ინგლისის პროტესტი, ჰოლლანდიის და სხვა პაწია სახელმ. „პროტესტი ხომ სასაცილოა. აქამდე ვიცნობთ ჰოლლანდიის მამალს, ტილოს და ყველს, ეხლა ჰოლლანდიის პროტესტსაც გავეცანით (პურიშკევიჩი ნელ-ნელა ხევს პროტესტის ტექსტს „(სიცილი, მარჯვნივ ტაში). ორატორის სიტყვით ეს კანონ-პროექტი რუსეთის სახელმწიფოებრივობის გამოცდაა. მომავალი დაგვენახვებს მივიყვანთ თუ არა დაწყებულს საქმეს ბოლომდე, ყოველს შემთხვევაში, დიდი იმედი უნდა ვიქონიოთ თვითმპყრობელისა, რუსეთის ჯარისა და ეროვნული გრძნობისა (ტაში მარჯვნივ).

24 მაისის საღამოს სხდომა.

თავმჯდომარეობს **შიდლოვსკი. აჯემოვი** ფინლ. კანონ-პროექტს ისეთს ვალდებულებად სთვლის, რომლის გაცემა მხოლოდ სოოპეკუნო კაცს შეეძლო. მემარცხენე გლეხების სახელით ორატორი წინააღმდეგობას უცხადებს კანონ-პროექტს.

ლიახნიცკი ჰხედავს, რომ ფინლიანდიის პოლონეთის ბედი მოელის: მას გადააქცევენ რუსეთის გუბერნიად. ამ ზომის გამართლება არ შეიძლება არც უფლებრივი, არც ეკონომიური თვალსაზრისით.

კუზნეცოვის. აზრით ფინლიანდიელთა უფლების იექსპროპრიაციით მხოლოდ რუსეთის თავად-აზნაურობაა დაინტერესებული, მოვა დრო როცა რუსეთის მუშა ხალხი დაიბრუნებს თავისუფლებას თავისთვის და ფილანდიისათვისაც.

ბარონ მეიენდორფი. უთითებს, რომ კონსტიტუციის ძირითადი თვისება არ მდგომარეობს არც მეფის ფიცში, არც დაწერილის ხარტიაში; ეს ძირითადი ელემენტი გამოიხატება ნათლად გარკვეულს წესში, რომლის მიხედვით არც ერთი კანონის გამოცემა, ან გაუქმება არ შეიძლება სახალხო წარმომადგენლობის დაუთანხმებლად და ამიტომ მეფის აღთქმა კიდევ უფრო მტკიცე უნდა იყოს, ვიდრე დაწერილი ხელშეკრულება (ძლიერი ტაში მარცხნივ). ორატორს მოჰყავს ნიკოლოოზ 1-ს სიტყვები, რომ მეფემ არასოდეს არ უნდა უღალატოს თავის აღთქმას და კეთილსინიდისიერად აასრულოს ის. ამიტომ მისი აზრით შემცდარია მინისტრთა თავმჯდომარე, როცა ის ფიქრობს, რომ შეიძლება ფინლიანდიის კონსტიტუციის დარღვევა, რადგან ის დაფუძნებულია არა ხელშეკრულობაზე, არამედ სიტყვიერ აღთქმაზე. (ტაში მარცხნივ). იურიდიული მეცნიერების თვალთსაზრისით პროექტის დამასაბუთებელი ქაღალდი იურიდიულ თვალთმაქცობას წარმოადგენს (მარცხნივ—ტაში, მარჯვნივ — სტვენა). ორატორი შემდეგი სიტყვებით ათავებს: თქვენ გსურთ ფინლიანდიელთა უფლების განადგურება და ამით ეროვნული ძეგლის აგება, მე კი ვერ გავინაწილებ ამ ნაბიჯის პასუხისმგებლობას (ძლიერი და ხანგრძლივი ტაში მარცხნივ და ცენტრის ნაწილში).

მომხსენებელმა გრაფმა **ბენნიგსენმა** მეიენდორფს უპასუხა და სთქვა, რომ მისი თანამოაზრენი წმინდათ ინახავენ მონარქის სიტყვას, მაგრამ ეხლა თვით მეფემ სწორედ იმგვარად ახსნა თავისი აღთქმის დედა-აზრი, როგორც ეს ფინლიანდიის

კომისიას ესმის. ორატორი თავისთავს გულწრფელ მონარქისტად სთვლის და ჰფიქრობს, რომ სათათბირო ვერ გაჰკიცხავს მეფეს, როცა ის მისივე სურვილებს ადასტურებს.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 მაისი.

საზღვარ-გარედ.

ბერლინი. გერმანიის სხვა და სხვა ადგილებში ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა. მოვიდა საშინელი სეტყვა. არის ადამიანთა მსხვერპლი. ჰეენერის ოლქში სეტყვამ სულ ერთიანად გაანადგურა ნათესი. ზარალი 200,000 მარკამდეა. ლიუდენშეიდში ასაფეთქებელ ნივთიერებათა ფაბრიკას მეხი დაეცა.

ბერლინი. ქამერუნის გუბერნატორი დეპეშით იუწყება: ვაჭარს ბრედშნეიდერს და მის 17 მხლებელს კანიბალთა ტომი დაეცა თავს. ყველანი დახოცეს. დამცემთა შვიდი მეთაური შეიპყრეს.

ბერლინი. ჰელფელდის საქმე პრუსიის კომპეტენც-გერიხტჰოფში დანიშნული 12 ივნისისათვის.

ბერლინი. მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის რკინის გზის საზოგადოებამ რუსეთის მთავრობისაგან უზრუნველყოფილი და გადასახადისაგან თავისუფალი 4 ნახ პროცენტიანი ობლიგაციები გადასცა კონსორციუმს, რომელშიაც შედიან პეტერბურგის საერთაშორისო, სავაჭრო-სამრეწველო, ვოლგა-კამის კერძო კომერციული, რუსეთ-ჩინეთის, მოსკოვის სავაჭრო და სხვა ბანკები. სესხის ნომინალური რაოდენობა 33,683,717 მანეთს უდრის. ობლიგაციებს ახლო მომავალში გამოუშვებენ.

სოფია. დიდი მზადებაა სლავიანთა კონგრესისთვის. კომიტეტმა დაადგინა გამოუშვას სლავიანურ ეთნოლოგიის რამდენიმე გამოცემა და გზის მაჩვენებელი ბოლგარიასა და სერბიაში მოგზაურობის დროს. სამხრეთ-სლავიანურ ყველა მხრიდან მოდის განცხადება კონგრესში მონაწილეობის შესახებ. იურიდიული საზოგადოება გამართავს სპეციალურ კრებას, რომელზედაც მხოლოდ კონგრესის მონაწილე იურისტები დაესწრებიან.

რ უ ს ე თ ი

ვორონეჟი. შვიდი დღის რჩევის შემდეგ გამოაცხადეს სამხედრო სასამართლოს განაჩენი გუსევისა და კარიაკინების შესახებ, რომელთაც 1908—1909 წლებში მცარცველების ჯგუფის შედგენა და გამომძიებლის პრეობრაჟენსკის მოკვლა ბრალდებოდათ. გუსევს, კარიაკინს და ალექსანდროვს სიკვდილით დასჯა მიესაჯათ, სამს მათი დამფარვისათვის სატუსაღო. კარიაკინისა და ალექსანდროვის შესახებ სასამართლომ დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ სასჯელი შეუმსუბუქდეთ.

ნიჟნეტაგილის ზავოდი. 23 მაისს ნიჟნი-სალდინიდან ოთხი ვერსის მანძილზე უცნობები თავს დაეცნენ სამ ურემს, რომლითაც სადგურიდან ალაპაევში მიჰქონდათ ალაპაევის ქარხნების ფული. ურმებს ერთი ინგუში მისდევდა. გაიტაცეს 130,000 მან. სროლის დროს მოჰკლეს ერთი გამვლელი.

ბორისოგლებსკი. საერობო კრებამ დაადგინა 1911 წლიდან დაეხმაროს მთავრობას მცხოვრების აგრონომიულ დახმარების აღმოჩენაში, მხოლოდ იმ პირობით, რომ მას ნება მიეცეს თავის მაზრაში საქმის ორგანიზაცია ისე მოაწყოს, როგორც თვითონ სურს.

ლიბავა. ღამე საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ლიბავასა, გოზენპოტსა და ალექსანდრე მესამის პორტის შუა ტელეფონი გაფუჭებულია.

ოდესა. სერგეევების მიერ შეწირულ თანხით გაიხსნა პირველი პოლიკლინიკა სამოქალაქო სასწავლებელთა მოსწავლეთათვის.

ვარშავა. გაიხსნა პრივისლიანის მხარის მომხმარებელ საზოგადოებათა კრება. მონაწილეობას ღებს 350 კაცი. მათ შორის 140 საზოგადოების წარმომადგენელია. ამ საზოგადოებებში ირიცხება 22,000 წევრი. აწარმოებენ 9,500,000 მანეთს.

მოსკოვი. სასამართლომ 138 ბოლხოვის პოლკის უფროსი ექიმი პისტერმანი მოქრთამეობაში დამნაშავედ იცნო და უფლებათა ჩამორთმევა და ერთი წლით ტუსაღთა განყოფილება მიუსაჯა.

ხ ო ლ ე რ ა

ეკატერინოსლავი. წარსული კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 129, გარდაიცვალა 67 კაცი.

ხერსონი. ქალაქში ხოლერით ავად გახდა 3, გარდაიცვალა სამი კაცი.

პეტერბურგი. როსტოვი და სევასტოპოლი ხოლერის მხრივ საშიშოდ გამოცხადდა.

ახალი ამბავი

ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ **წარმოდგენები დაბა-ქალაქებში.** ტფილისის დრამატიულმა დასმა, ქ-ნ ეფემია მესხის, მარო მდივნის, რიონელის, შოთაძის; ბ-ნ კ. მესხის, ვ. გუნიას, ზარდალიშვილის, გვარაძის, ივანიძის, ურუშაძის, იმხნელის, ქეიძის და სხვათა მონაწილეობით გამართა წარმოდგენა: სამტრედიაში, აბაშაში, ახალსენაკში, ზუგდიდში, ფოთში, სოხუმში, გუდაუთაში, გაგრაში, ოჩემჩირეში და ბათუმში. რეპერტუარი: „ღალატი“ და „სამეგრელოს მთავარი ლევან“. დასი გამართავს კიდევ წარმოდგენებს: ოზურგეთში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, ხონში, ყვირილაში, ჭიათურაში, მიხაილოვში, ბელაგორში, გორში, ახალქალაქში, ცხინვალში და აღმოსავლეთ საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში.

◆ **სეირნობის შემოსავალი.** კვირას, 23 მაისს, მუშტაიდში „განათლების“ საზოგადოებამ გამართა სეირნობა, რომელიც ძალიან კარგად იყო მოწყობილი, მაგრამ ამინდმა ხელი შეუშალა ამბობენ, რომ მაინც 400—500 მანეთამდის შემოსავალი დარჩა.

◆ **იუბილეი.** ტფილისის მიხეილის საავადმყოფო და მასთან ერთად საფერშლო სასწავლებელი 30 მაისს დღესასწაულობს თავის დამსახურებულის ექიმის დ. ა. გედევანიშვილის 25 წლის იუბილეს.

◆ **სეირნობა.** 22 მაისს მუშტაიდში ტფ. საბალოსნო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ გამართულ სეირნობას ხალხი ძალიან მცირე დაესწრო. საღამოს ხელი შეუშალა უმთავრესად წვიმამ და სეტყვამ, რომელიც ამ უბანში ერთობ საგრძნობელი იყო. სასეირნო საღამოს ზარალი ჯერ გამოურკვეველია და, როგორც გადმოგცეს, დიდი უნდა უყოს.

◆ **გამოსაცდელი წარმოდგენა.** 31 მაისს ახალგაზრდათა გამოსაცდელი წარმოდგენა გაიმართება ქართულ თეატრში. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ: ნატ. გიგაური, ე. ლოლუა, მ. ვიქტორელი, ე. წუწუნავა, და ბ.ბ.: ლობჟანიძე, არუთინოვი, მამკორია, გოგაძე და შანშიაშვილ. წარმოდგენას მხოლოდ მოწვეული პირნი დაესწრებიან.

◆ **ქალაქის საბჭო.** ორშაბათს, 21 მაისს ქალაქის თავის თავ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება მოჰხდა. რამდენიმე წვრილმან საგნების განხილვის შემდეგ საბჭომ დაადგინა მიიღოს გამგეობის წინადადება მიხეილისა და დიდის მთავრის ქუჩების ახალ სისტემის მოკირწყვლის შესახებ. საბჭომ აგრეთვე დაადგინა ქვაფენილი დააგოს ვაკეს უმთავრეს ქუჩაზე წინაადლევ ქალაქის გამგეობის წინადადებისა, რომელიც თხოულობდა ამ ქუჩის მოზაიკით მოკირწყვლას.

◆ **ექსკურსია.** ივნისის პირველ რიცხვებში ტფილისში განმანათლებელ აზრით მოდიან ლაბანის გიმნაზიის მოსწავლენი, რომელთა შორის ორი ებრაელია. ტფ. პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რათა პოლიციამ ხელი არ შეუშალოს ექსკურსანტებს და პირიქით ყოველი კანონიერი დახმარება აღმოუჩინოს.

◆ **გაზეთის დაჯარიმება.** ტფ. გუბერნატორმა 50 მან. დააჯარიმა გაზეთ „ზაკავკაზიეს“ რედაქტორი თავ. გ. ამირაჯიბი ტფ. გენერალ-გუბერნატორის მიერ 1 ივნისს 1907 წ. გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ორის კვირით დააპატიმრებენ.

◆ **კ. ფოცხვერაშვილის კონცერტი.** როგორც ვიცით, 30 მაისს, სახალხო სახლში ბ-ნი ფოცხვერაშვილი დაკლებულის ფასით კონცერტს მართავს. ამ საღამოს, სხვათა შორის, ბ-ნი ია კარგარეთელი ლიაძის აკომპანიმენტით შეასრულებს ქართულ თქმულებას—ხალხურ ლექსს „ამირანი და ბაყბაყ მდევი“.

◆ **ქართული დრამატიული საზოგადოება.** 23 მაისს ქართულ დრამატიულმა საზოგადოებამ ხელი მოაწერა პირობას, რომლითაც თავად აზნაურობის თეატრი (საზამთრო და საზაფხულო, თავის რესტორანებით) სამის წლით აიღო.

◆ **გამოფენა.** ქართველ-ქალთა ამხანაგობის სამკერვალო-სკოლაში გაბაევის ქუჩაზე 30 მაისს გაიმართება ხელსაქმის გამოფენა. იმედია ქართველი საზოგადოება ყურადღებით მოეპყრობა და დათვალიერებს მოწაფე ქალთა ხელთ-საქმეს.

◆ 23 მაისს, მაძებარ პოლიციის აგენტებმა ტფილისში შეიპყრეს ალექსანდრე სოხიევი, რომელიც ადმინისტრატიულად გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

◆ 24 მაისს, საღამოს 6 საათზე „ბოგილის“ საბანოს მახლობლად მტკვარში ბანაობის დროს დაიდრჩო ტფ. პოლიციასთან არსებულ სამუსიკო კამანდის მოსწავლე პეტრე სერგეევი, 13 წლისა.

◆ 24 მაისს პოლიციამ ქალაქის სხვა და სხვა უბანში ჩხრეკის დროს 70 უპასპორტო შეიპყრო.

ჩვენი ისტორიულ საზოგადოების საყურადღებოდ

(მცირე შენიშვნა).

ადგილობრივმა გაზეთებმა უკვე გვაუწყეს, რომ ტფილისის საქალაქო თვითმმართველობამ გადასწყვიტა დააარსოს ეგრედ-წოდებული **მუნიციპალური მუზეუმი.**

ამ მუზეუმში უნდა მოთავსდეს ყოველისფერი, რაც შეეხება ტფილისის ქალაქს, ისტორიული საბუთი იქნება ეს, თუ სხვა რამე, ჩვენი დედა-ქალაქის ყოველ მხრით დამახასიათებელი.

ზოგიერთმა საზოგადო მოღვაწემ კიდეც გადასცა ქალაქის გამგეობას მუზეუმში შესანახად რამდენიმე ფრიად საყურადღებო ისტორიული საბუთი, ჩვენი ქალაქის შესახები.

ახლახან ქალაქის გამგეობამ ალ. ხატისოვის მეთაურობით აღსძრა სათანადო მთავრობის წინაშე ასეთი შუამდგომლობა: ნება დართონ ქალაქის მოსამსახურეს ნ. აბელოვს გასინჯოს ის მრავალი ისტორიული საბუთები, რომელიც ინახება ხელმწიფის მოადგილის კანცელარიის არქივში, შეეხება ჩვენი ქალაქის მდგომარეობას და ეკუთვნის იმ ხანას, როდესაც საქართველო შეუერთდა რუსეთს.

რა თქმა უნდა, რომ ვინც უნდა იყოს ქალაქის გამგეობაში მოსამსახურე, ქართველი იქნება იგი, სომეხი, თუ სხვა ერის წევრი, ის, როგორც სპეციალური, განსაკუთრებულ ცოდნას მოკლებული ვერ მოახერხებს იმ არქივში შენახულ საბუთების გარკვევა დაფასებას.

ამას მოახერხებს მხოლოდ სპეციალისტი, ამიტომ ჩემის აზრით ამ საგულისხმიერო საქმეში დიდი დახმარება უნდა გაუწიონ ქალაქის გამგეობას ჩვენმა ცნობილმა მეისტორიებმა.

ყველაზე უკეთესი იქნება, თუ რომ ამ საქმეს ითავებს და მოაწესრიგებს ჩვენი ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზოგადოების გამგეობა.

საგანი ფრიად მნიშვნელოვანია, რომ იგი უყურადღებოდ დატოვე-

მუნიციპალური სოციალიზმი

შემდეგი *)

VI.

სწავლა-განათლების საქმე.

ამ განყოფილებაში ყურადღებას აქცევენ შემდეგი მოთხოვნილებანი: ა) სწავლა უფასო და საერო ყველა საფეხურზე და პროფესსიონალურ სკოლათა დაფუძნება; ბ) დაარსება სასკოლო ბუფეტებისა, საპირფარეშოთა, საზედამხედველო კლასსებისა ბავშვებისათვის და სასკოლო კოლონიათა. გ) აბანოების მოწყობა სკოლებთან და ჰიგიენის სწავლა; დ) სასწავლო წიგნების და ნივთების უფასოდ დარიგება; ე) დახმარების გაწევა საერო განათლების დაწესებულებათადმი (იგულისხმება წიგნთსაცავები, საზოგადოებანი სწავლა-განათლებისა და ყოფილ მოსწავლეთა, სახალხო უნივერსიტეტები და სხ. და სხ.); ვ) სასტიკი მეთვალყურეობა ჯანმრთელობაზე სკოლებში: კოლლექტიური და ინდივიდუალური მეთვალყურეობა მოსწავლეებზე; ზ) მოსწავლეთა რიცხვის შემცირება ყოველ კლასში, და თ) მასწავლებელთა სინდიკალური უფლება.

როდესაც უფასო სწავლაზე ლაპარაკობენ, სოციალისტებს სახეში ახლა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები აქვთ, რომელნიც დღეს თითქო პრივილეგიაა შეძლებულ კლასსთა და თითქმის სრულიად მიუწვდომელია მშრომელ მასსათა შვილებისათვის. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების უმაღლეს სასწავლებლებში ერთობ დიდი გადასახადებია დაწესებული სწავლისათვის. მართალია, პირველდაწყებითი სკოლა ევროპაში ყველგან უფასოა, ყველასათვის მისაწვდომი და, მაშასადამე, უდარესი საშუალო სკოლაა; მაგრამ ესაა და ეს: გარეშე ამისა სისტემატიურ სასკოლო განათლების საქმეში ხალხს თითქმის არა გააჩნია რა. დემოკრატიას საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცნობების სხვა და სხვა სფეროს დასაპყრობათ არ ჰყოფნის მარტო წერა-კითხვა და საზოგადოდ ის მცირე ცოდნა და განვითარება, რომელსაც პირველდაწყებითი სკოლა იძლევა. საჭიროა აგრეთვე, რომ შეუძლებელ კლასსებს ჰქონდეთ საშუალება და არა თუ საშუალება, ვალდებულობაც კი, მისცენ თავიანთ შვილებს საშუალო და უმაღლესი განათლება, რაიც ფაქტიურათ, დიდის გადასახადებისა გამო, დღეს მათთვის დახურულია. ბურჟუაზიული კლასსი ბატონობს არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უფლობს წარმოების საშუალებათ, არამედ იმიტომაც, რომ იგი ამასთანავე უფლობს განათლების საშუალებათაც ე. ი. იმიტომ, რომ მას თავის მონოპოლიათ გაუხდია სპეციალური ტეხნიკური, საექიმო, იურიდიული და სხვა გვარი ცოდნა.

რაც შეეხება იმას, რომ სკოლა საერო უნდა იყოსო, თუნდა ვსთქვათ, რომ ფაქტიურათ პირველდაწყებითი განათლებაც კი არ არის მთლად საერო, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სასულიერო წოდება ჯერ კიდევ ძლიერ მეტოქეობას უწევს განათლების საქმეში საერო სკოლას, როგორც მუნციპალურს, ისე სახელმწიფოებრივს. უნერგავს რა მოზარდ თაობას სერვილიზმს და მორჩილებას არსებულ წეს-წყობილებისადმი, კონფესსიონალური სკოლა თავის საქმეს აკეთებს, რაიც, თავის თავათ ცხადია, აჩერებს მშრომელ ხალხის თვითშეგნების განვითარებას. აი ამიტომ სოციალისტები სცდილობენ განათლების საქმეში ერთგვარობის დამყარებას როგორც მუნციპალურ, ისე სახელმწიფო კომპეტენციის ფარგალში. ამისათვის ისინი თხოულობენ, რომ სკოლა პოლიტიკური მხრივ გამოცხადებულ იქმნას ნეიტრალურ წრეთ და რომ გარდა ამისა სასულიერო წოდებას არა ნაირათ არა ჰქონოდეს უფლება ჩაერიოს სწავლა-განათლების საქმეში. ვიდრე სახელმწიფოსაგან ეკლესსიის განშორების საკითხთან ერთად ერთიანათ და ძირულად არ გარდაწყდება საკითხი იმავე ეკლესსიის განშორებისა სკოლისაგან, ეს უკანასკნელი ამა თუ იმ ზომით, ამა თუ იმ სახით ყოველთვის განიცდის სასულიერო წოდების გავლენას.

რუსეთი ამ მხრივ ჩამორჩა დასავლეთს ისე, როგორც, შეიძლება. არც ერთ სხვა დარგში. გარდა ამისა, რომ აქ როგორც მოგეხსენებათ, პირველდაწყებითი სწავლა ჯერაც სავალდებულო არ არის და მაშასადამე, არც საყოველთაოა, უნდა ვსთქვათ, რომ ის მცირე რამ, რაც ხალხის ელემენტარულ განათლებისათვის არსებობს, ვერც ერთის მხრივ ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთ დაბალ ხარისხის სხვა და სხვა უწყების სკოლების რიცხვი (ქალაქისა, ერობისა, სამინისტრო, სამრევლო) ერთობ და ერთობ მცირეა საჭიროებასთან შედარებით. არც თვით სწავლაა ყველგან უფასო, ხოლო სასწავლო წიგნების და ნივთების დარიგებას ხომ იშვიათათ შეხვდებით სადმე. ამას დაუმატეთ სასწავლო პროგრამმების უვარგისობა და სამასწავლებლო პერსონალის შეუფერებლობა (უმეტეს შემთხვევაში გონებრივი სიღატაკე, სპეციალურ მომზადების უქონლობა) და თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ თუ რა პირობებშია ჩაყენებული ამ მხრივ რუსეთის მკვიდრი.

საშუალო და უმაღლეს ტიპის სასწავლებლები კი, ნივთიერის პირობების წყალობით, ხალხის უღარიბეს კლასსთათვის, ნამდვილად ვსთქვათ, არ არსებობენ, რაც, ღვთის წინაშე, სრულიად ანალოგიურია იმ მოვლენისა, რომელიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ დასავლეთ ევროპის შესახებ.

შემდეგ, ყველა ხარისხის რუსულ სკოლებს პარალლელურათ და ერთი მეორესაგან დამოუკიდებლად განაგებს ორი უწყება: სამინისტროები და უწ. სინოდი. სკოლები, რომელნიც ექვემდებარებიან პირველებს, საერონი არიან, ხოლო სინოდის უწყებაში მყოფი სკოლები—სასულიერონი. საერო სკოლათა კატეგორიას ეკუთვნიან სხვათა შორის ქალაქისა და ერობის სკოლებიც. მაგრამ ეს ეგრედ-წოდებულნი საერო უფლებას ექვემდებარებიან, სასულიერო წოდების გავლენისაგან მთლათ თავისუფალნი არ არიან. პირველ დაწყებით და საშუალო სასწავლებლების პროგრამმებში სამღვთო სჯული, საეკლესსიო გალობა, საეკლესიო-სლავიანური ენა სწავლის სავალდებულო საგნებია. უმაღლეს სასწავლებლებშიც-კი არსებობს ღვთისმეტყველების კათედრა არა სღვთისმეტყველო ფაკულტეტების სტუდენტებისათვისაც კი. ყოველი ეს ადვილათ გასაგებია. იმ ქვეყანაში, სადაც სინიდისის თავისუფლების კანონი არ არის (თუ ამათ არ ჩავთვლით 1905 წ. 17 აპრილის ბრძანებას), სადაც სახელმწიფო და ეკკლესია ერთ განუყრელ კავშირს შეადგენენ და სადაც, მაშასადამე, ყოველი სარწმუნოებრივი აქტი პირადი სინიდისის საქმეთ არ ითვლება,—იქ, რასაკვირველია, ჯერ-ჯერობით ლაპარაკიც მეტია სახელმწიფო თუ მუნიციპალურ სკოლის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) სრულ განთავისუფლებაზე სამღვდელოების გავლენისაგან. ეს კია, რომ ერთნაირ პოლიტიკურ კომბინაციაში (თუ ფართო დემოკრატიული კონსტიტუცია დამკვიდრდა) ავტონომიურ კომმუნებს სახელმწიფოზე ადრე შეუძლიათ განახორციელონ საქმით პრინციპი ეკკლესიის განშორებისა სკოლისაგან და ეს სხვათა შორის დიდ დიდი დამსახურება იქმნება მათის მხრით სოციალურ გარდაქმნის მოახლოვების საქმეში.

რუსულ სკოლებს, როგორც მუნიციპალურს, ისე სახელმწიფოს, როგორც საეროს, ისე სასულიეროს, კიდევ ერთი რამ ახასიათებს: სწავლის ენის უკიდურესი ერთგვარობა. მთელის იმპერიის სივრცეზე, რომელიც უდიდესი სახელმწიფოა მთელ ქვეყნიერებაზე და რომელიც მრავალნაირ ეროვნებით არის დასახლებული, სკოლებში ერთათ-ერთი რუსული ენა ბატონობს. უცხო ეროვნებათა ენების დევნა, რომელნიც მცხოვრებთა საერთო რიცხვის 53 პროც. შეადგენენ, იმ ზომამდეა მისული, რომ ეს ენები განდევნილია სკოლებიდან არა მარტო როგორც სწავლის ენები, არამედ როგორც ერთ ერთი საგანი პროგრამმისა. მაგრამ აქ უფრო ღირს საყურადღებო ის არის, რომ რუსის მთავრობა პირველ დაწყებით სკოლებისათვისაც კი არავითარ გამონაკლის არა შვრება, რის გამო ყველაზე მეტს ვნებას განიცდიან, რასაკვირველია, ხალხის მშრომელი მასსები განაპირა ქვეყნებში და საზოგადოთ უცხო ერთა ბინადრობის ადგილებში. ასეთ პირობებში ბავშვები ან სრულიად სკოლის გარეშე რჩებიან ან და, თუ სწავლას მათთვის გაუგებარ ენაზე ღებულობენ, თითქმის არავითარი ცოდნა სკოლიდან მათ არ გამოაქვთ, ან თუ გამოაქვთ მალე ივიწყებენ. ასე და ამ გვარათ, სახალხო სკოლა უცხო ერთათვის თითქო არც კი არსებობს.

მაგრამ, რათა სკოლა იყოს ხელმისაწვდომი ყველასათვის, ვინც კი მასში ჰსაჭიროებს, საკმარისი არ არის, რომ იგი იყოს უფასო ან უსასყიდლოდ აძლევდეს სასწავლო წიგნებს და ნივთებს; საჭიროა ამასთანავე, რომ უღარიბეს მშობელთა შვილებს ეძლეოდეთ სკოლაში სასმელ-საჭმელი, ტანისამოსი და ფეხსაცმელი; იმ შემთხვევებში კი, როდესაც მშობლები მოკლებულნი არიან საშუალებას თვალყური ადევნონ თავიანთ პაწია ბავშვებს (ავადმყოფობის დროს, სამუშაოდან შინ გვიან დაბრუნებისა გამო და სხ.), საჭიროა, რომ სკოლამ მშობელთა აკრის მაგიერობა გასწიოს. 1793 წლის კონვენტის ერთ-ერთ დეკრეტში ვკითხულობთ: „ერის აღზრდა, მისი განათლება და შენახვა რესპუბლიკის მოვალეობაა“. განმარტა რა ეს დეკრეტი, ერთხელ ჟიულ გედმა ამ სიტყვებით მიჰმართა რესპუბლიკელებს: „ამ ვალის ნახევარი თქვენ უკვე გარდიხადეთ, დააწესეთ რა უფასო და სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლა; ეხლა საქმე ამ ვალის მეორე ნახევრის გარდახდაზე მიდგა; ეს ვალიც შეგიძლიათ მოიხადოთ, თუ ბავშვებს ტანსაცმელით და სასმელ-საჭმელით უზრუნველჰყოფთ“.*)

ამ მხრივ დასავლეთ ევროპაში ზოგი რამ უკვე განხორციელებულია. ბევრ ადგილას არსებობენ სასკოლო კანტინები (საფრანგეთში, მაგ., შემდეგ ქალაქებში: პარიზში, ლილში, ლიონში, მარსელში, რუბეში, დიჟონში და სხ.), საიდანაც მოსწავლეებს საჭმელს ურიგებენ, ზოგგან სკოლებში მოწყობილია საპირფარეშოები, საიდანაც ტანისამოს ურიგებენ უფასოთ; ბევრგან ბავშვებზე თვალყურის დასაჭერათ და მათ მოსავლელათ გამართულია ეგრედ-წოდებული classes de gardes. მაგრამ ყოველი ეს ჯერ-ჯერობით მხოლოთ ოდნავ არის განხორციელებული და ისიც არა ყველგან და აი ამიტომ სოციალისტების მუნი-

---

*) იხ. „სახალ. გაზ.“ N 14.

*) ციტატა იხ. Adr. Veber „Le socialisme munic.,“ გვ. 43—44.

ბულ იქმნას ჩვენი სპეციალისტების მიერ.

საქმე, რომ წახდეს, რას არგებს მერმე მას „თითზე კბენანი"... Sapienti sat!.. **გრიგოლ დიასამიძე.**

მოწერილი ამბები

სოფ. გურჯაანი. (კახეთი) „დროების" 92 №-ში ერთი კორესპონდენტი გურჯაანის ამბებში ბევრს შემცდარ ცნობებს ურევს. კორესპონდენტი იწერება, რომ გურჯაანელები ძალიან მდიდრები არიან, ორ-სართულიანი სახლები უდგათ და კიდევ სხვა.

გურჯაანში სულ 760-დე კომლი სცხოვრობს, ამათგან ორ-სართულიანი სახლი 26-სა აქვს, (თავადების სახლები ანგარიშში მისაღები არ არის.) რაც დაახლოვებით მხოლოდ 3½% შეადგენს, გურჯაანელ გლეხის სიმდიდრეზე ლაპარაკი საცინელია: 1908 წელს გურჯაანელთ მარტო საეგზეკუციო ხარჯები 7,300 მანეთი გადაახდევინეს, აკლება აწიოკება და მოცდენა სხვა არის. ეს ხარჯები კისრად მხოლოდ გურჯაანელთა ღარიბ ნაწილს დააწვა; 100-ს კომლამდე მოსული ხალხი, რომლის ხელში ვაჭრობა და გურჯაანის ნამდვილი სიმდიდრეა, სასოფლო ხარჯების გაწევაში მონაწილეობას არ იღებს.

სომეხ მცხოვრებთა რიცხვი კორესპონდენტს 200-ს კომლამდის გაუჭიმავს, როდესაც 100-ამდინაც ვერ აღწევს.

ნამდვილად გურჯაანის გლეხი მუდამ გაჭირვებას განიცდის. სახსარი ცხოვრებისა მარტო ღვინო არის. და ღვინის ამბავი კარგად ვიცით. „მოვა ვაია, არ მოვა—ვაგლახი". ყველას ახსოვს, რომ საუკეთესო ღვინო გურჯაანელ გლეხისა სამაჭრე (48 ვედ.) 25 მანეთად იყიდებოდა.

როდესაც გლეხობის გაჭირვებაზე არის ლაპარაკი, მხედველობაში მისაღებია საშუალო შეძლების გლეხი და არა მთელ 760-ს კომლში 26 კაცი, რომელთაც ორ-სართულიანი სახლი წამოუჭიმავთ.

საშუალო შეძლების გლეხის წლიური შემოსავალი 45 მანეთს არ სცილდება, სხვა და სხვა წვრილმანი შემოსავალიც 15 მანეთს—მთელი კი სულ 60 მანეთია. ამასთანავე ნუ დაგავიწყდებათ, რომ გურჯაანელი გლეხი მთელ 8—9 თვის განმავლობაში ფქვილის მყიდველია.

16 მაისს მომრიგებელ შუამავლის ინიციატივით შეიკრიბა 50-მდე კაცი და ქალი და წ. კითხვის საზოგადოების განყოფილებისა და სამკითხველოს დაარსებაზედ ილაპარაკეს, მხოლოდ ილაპარაკეს. გლეხობას-კი, იმ გლეხობას, რომლის გასანათლებლადაც არსდება განყოფილება და სამკითხველო, „არა სწამს დატკბა მეცნიერება".

სამკითხველოს დაარსებას თავის ისტორია აქვს. ყველას ახსოვს, რომ 1880-ს წლებში დაარსებულ სამკითხველოს 500-დე წიგნი და ჟურნალ-გაზეთი თავ. აბაშიძის სხვენში გამოხრეს თაგვებმა. თითქმის ყოველ წლივ იმართება რამდენიმე წარმოდგენა სამკითხველოს სასარგებლოდ, მაგრამ ფული არსად სჩანს.

1906—1908 წლებში ამ მიზნით რამდენიმე წარმოდგენაც გაიმართა, მაგრამ თავი არავინ გაიცხელა ფულის ამბავი ეკითხნა.

შარშან ზაფხულს ბ. ილიკო აბაშიძემ წარმოდგენა გამართა, რომლის ნახევარი შემოსავალი გურჯაანის განათებას უნდა მოხმარებოდა, მაგრამ კაპეიკი თვალით არავის დაუნახავს. და ამის შემდეგ კიდევ დაიწყებენ კივილს, რად არის გურჯაანის გლეხობა უნდობი.

ხალხის ნამდვილ გაჭირვებაზეა ხმის ამოღება საჭირო და არა იმაზე, თუ ლამაზი სიტყვები სად დაიხარჯა.

ვ. კარბელაშვილი

შანტეკლერი

პიესა 4 მოქმედ. პროლოგითურთ ლექსად **ედმონდ როსტანისა***)

შაბათს, კვირასა და ორშაბათს ზედიზედ ტფილისის სახაზინო თეატრში პირველად წარმოდგენილ იქმნა ედმონდ როსტანის „შანტეკლერი", რუსულად თარგმნილი ქ-ნ შჩეპკინა-კუპერნიკის მიერ.

ამ პიესას თავისი ისტორია აქვს. რვა წელიწადი მოელოდა მას საფრანგეთი და მასთან ერთად მთელი ლიტერატურული ქვეყანა. მაგრამ პოეტი არა სჩქარობდა. იგი ჩაკეტილი იყო პირენეის კალთის ქვეშ ბუნების წიაღში, სადაც მას გვერდით ჰყავდა მხოლოდ მისი პოეტიური მუზა-მეუღლე, ცნობილი მგოსანი ქალი. ყოველი ახალი აქტი ისეთს მოუთმენლობას იწვევდა, რომ ჟურნალ-გაზეთები მაშინვე აუწყებდნენ საზოგადოებას. უკანასკნელს წლებში ნამდვილი სამლოცველო მოგზაურობა იყო გამართული პარიზიდან პირენეიმდის. ყველას ცნობის მოყვარეობას იტაცებდნენ ეს ფრინველნი და ცხოველნი, ადამიანების ვნებათაღელვის გამომხატველად სცენაზედ გამოყვანილნი. პოეტი ძნელად თუ უზიარებდა ვისმე თავის საიდუმლოებას. პრესის ხმაურობაში მას არავითარი წილი არ უდევს. იგი ნელ ნელა ჰქმნიდა და აშალაშინებდა თავის ნაწარმოებს, ვიდრე სრულ-ქმნილი არ გადასცა შარშან თავის მეგობარს გამოჩენილს მსახიობს — კონს. კოკლენს „პორტ სენ-მარტენის" თეატრში დასადგმელად. კოკლენი იმდენად აღელვებული იყო მისის მომზადების დროს, რომ ვერ გაუძლო და რეპეტიციებში გარდაიცვალა. თვითონ როსტანიც ამ რამდენისამე წლის წინად გაცხელებულ შემოქმედების დროს ისე ავად გახდა, რომ მხოლოდ მისმა მუზა-მეუღლემ გამოჰგლიჯა სიკვდილს...

ამის შემდეგ გასაგებია საზოგადოების მოუთმენლობა. მართლაც პიესა ფორმის მხრივ იმდენად სრულ-ქმნილი და ძლიერი გამოვიდა, რომ მას თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში ტოლი არ მოეპოვება. აქ ყოველი სიტყვა, ყოველი ლექსი, ყოველი მოქმედება ბროლივით გამოქანდაკებულია. მისი მდიდარი და ჭარბი რითმები ანკარა ნაკადულად ისეთის დამატკბობელ მუსიკითა და ჰარმონიით მოსჩუხჩუხებს, მისი შეფარდებული რიტმების მოძრაობა ისე არწევს თქვენს არსებას, რომ თან გიტაცებს, თავბრუს გახვევს და ხანგრძლივ ყურში გაგკივით. აქ თქვენ გრძნობთ თავს მოჯადოებულ ტყეში, გესმით ჩიტების ჭიკჭიკი, მწერების ზუზუნი, ყვავილ-ფოთლების შრიალი, წყაროს ჩქეფა, ჰხედავთ ვარსკვლავთა ციმციმს, ნამგლოვან მთვარის სრბოლას ცის კიდურზე, ალიონის გაელფერებასა და ბოლოს ყველას განმანათლებელის მზის დიადს ამობრწყინვას, რაიც ყველაფერი აამეტყველა როსტანმა. აქ თქვენს წინაშე მთელი ქალწული ბუნება იშლება, რომლის იდუმალი სახე და ხმები ასე ღრმად შეიგნო პოეტმა და თქვენც გადმოგცათ თავისი გრძნეულის ძალით. ამას მიაღწია ედმონდ როსტანის პოეზიის შეუდარებელმა ფორმამ და ნუ თუ ეგ არა კმარა? „შანტეკლერი", როგორც ნამდვილი ხელოვნური, ნაწარმოები, როგორც მილოს ვენერა, როგორც ბელვედერის აპოლონი, როგორც სიქსტის მადონა, როგორც ლექსები დე ჰერედიასი და სიული პრუდომისა, მხოლოდ თავისი ფორმითაა შესანიშნავი. მაგრამ ჩვეულებრივს კრიტიკას, რომელიც ძალიან შორსაა ესთეტიკიდან, უნდა მაინც და მაინც იდეა და მორალი გამოიყვანოს. და აქ იწყება უცნაური აზრთა ვარჯიშობა. ერთს გამოჰყავს პიესიდან „ფილოსოფოსისა, ფსიხოლოგოსისა და მხატვრის საგანი... შრომის გემო, დედამიწისადმი მიზიდულობა, მხიარულად და კეთილშობილად შესრულებულ მოვალეობის სიტკბოება" (ადოლფ ბრისონი, „ტანის" კრიტიკოსი). მეორე ჰხედავს მამალში „მეგობარს წესიერებისა და სინათლისას", და ძაღლში კიდევ „პატივისცემას ყოველ საზოგადოებისათვის საჭირო იერარქიისადმი" („მატენის" თანამშრომელი ნოზიერი). ერთის სიტყვით „შანტეკლერსაც" ისე ემართება, როგორც გიოტეს „ფაუსტს": ყველას თავის პირად მიმართულების გამამართლებელი აზრი გამოჰყავს. მაშ შევეხოთ ამ საგანსაც და ვაჩვენოთ, რომ ჩვენც შეგვიძლიათ გამოვიყვანოთ სულ სხვა იდეალის გამამართლებელი აზრი, რომელიც არც ისე შორს იქნება თვით „შორეულ დედოფლისა" და „სირანო დებერჟერაკის" ავტორის იდეისაგან. ამისათვის საჭიროა მოკლედ მაინც პიესის შინაარსის გადმოცემა.

„შანტეკლერის" სიუჟეტი აღებულია საშუალო საუკუნეთა ხალხურ რომანებიდან, როგორც მაგალითად გოტეს „რეინეკე კუდა-მელაც". ზღაპრულს ბაჭია მამალს როსტანმა თავისი ლირიკული სული ჩაუდგა.

I მოქმედება: ხოხობის სალამო. სოფლად ერთის ოჯახის საქათმეში ფუსფუსობენ ქათმები, იხვები, მათის წიწილებით, ინდაური, მოშინაურებული შაშვი და მტრედები. მათ წინ უძღვის და ჰქომაგობს მშვენიერი მამალი, თავის სიმღერისათვის „შანტეკლერად" წოდებული, რაიცა ქართულად ჰნიშნავს „ნათელ-მღერალს". მათი პატრონი კეთილი ვეგეტერიანია და ფრინველებიც თავისუფლად კაკანებენ. ბებერი კრუხი მითი ნუგეშობს, რომ მისი პაწია გაიზარდა და სახელოვან მამლად გადაიქცა, რომელსაც მეგობრებად ჰყავს ლამაზი თეთრი ქათამი, ლურჯი ქათამი და შავი ქათამი. ხოლო ყოყოჩა ინდაურს არ მოსწონს ამის თვალ-წინ გაზრდილ ბავშვის უპირატესობა. შემოდის მამალი „ნათელ-მღერალი" და ქებას უძღვნის მზეს, ყველას განმანათლებელსა და სიცოცხლის მიმცემს.

მართლა, შანტეკლერი ღარიბია, მისი საქათმეც მცირე საასპარეზოა, მაგრამ იგი მხიარულად და ამაყად ასრულებს თავის მოვალეობას. საყვარელი ქათმები შეეხვეწებიან მის ნათელ სიმღერის საიდუმლოს გაზიარებას, მაგრამ შანტეკლერი ჯერ არავის უმჟღავნებს. ერთგული ძაღლი, პატუ, ჯაჭვზე მიბმული, თავის ბუნაგიდან თავს ამოჰყოფს და აფრთხილებს მამალს, რომ ღამის მოყვარული ფრინველები მის წინააღმდეგ შეთქმულებას ადგენენ. რისთვის? „ნათელ-მღერალი" ყველას ძილს უფრთხობს, სიბნელესა ჰფანტავს... ამ დროს შემოიჭრება მონადირისაგან დევნილი, შეშინებული მშვენიერი ოქროსფრთოვანი ხოხობი და შველას ითხოვს. „შანტეკლერი" მას მიიღებს თავის ფრთეთა ქვეშ და პატუ თავის ბუნაგში დამალავს, ასე რომ მონადირის ძაღლი, ბრიფო, ვერ იპოვის და უკან ბრუნდება. ხოხობი მადლიერი თავისუფლად გამოდის. მშვენიერი მზეთუნახავი უამბობს თავის თავ-გადასავალს იგი დაბადებულია ცხელს კოლხიდაში და ბოჰემიის გზით მოსული. შეიძლება იგი იყოს იაზონისაგან მოტაცებული ოქროს საწმისი. შანტეკლერი გატაცებულია მისი მშვენებით და თავს დაჰკურკურებს, მაგრამ ხოხობი შორს იჭერს, ვიდრე შანტეკლერი თავის სიმღერის საიდუმლოს არ გაუმჟღავნებს. დამცინავი შაშვი ახალ სტუმრის მოსვლას ციცარს შეატყობინებს, რომელსაც ხვალ დღეობა აქვს ციცარი მოირბენს და ხოხობს თავის მეჯლისში ჰპატიჟებს.

II მოქმედება: მამლის დილა. ღამით ტყეში ბუებმა და ღამურებმა, რომელთაც ეხმარებათ კატა და ინდაურიც, გადასწყვიტეს შანტეკლერის დაღუპვა, რადგან მას თავის სიმღერით მზე ამოჰყავს და მათთვის სანატრელ წყვდიადს აქრობს. ხვალ ციცარის დღეობაში ფარშევანგმა უნდა მოიყვანოს სხვა უცხოელ მამლებთან ერთად ერთი საშინელ ძალის მოჩხუბარი მამალი, რომელიც შანტეკლერს ბოლოს მოუღებს. ალიონი ახლოვდება. შემოდიან შანტეკლერი და ხოხობი, რომელიც მომხიბლავად ეტრფიალება და სთხოვს შანტეკლერს თავის სიმღერის საიდუმლოების გაზიარებას. შანტეკლერი, სიყვარულით დამთვრალი, თავს ვერ იკავებს. ესეც კია, რომ თვითონაც უნდა თავისი გულის ნადები მეგობარს გაუზიაროს. უწყოდე, მეგობარო, მე მზის მახარობელი ვარ, ჩემს სიმღერას თან უეჭველად მზის ამოსვლა მოსდევს და მე დარწმუნებული ვარ, რომ ერთს ალიონსაც არ ვიმღერო, ჩემს არე-მარეში მზე არ ამოვა. მე ამ რწმენით ვსცოცხლობ, ეგ მამხნევებს და მაკისრებინებს ჩემს მოვალეობას ბოლომდის მივყვე. ხოხობი გაოცებულია და თითქმის რწმუნდება შანტეკლერის მაღალს მოწოდებაში. დამცინავი შაშვი, იქვე ქოთანში მიმალული, ამ აღსარებას გესლიანის ხარხარით შეეგებება. მაგრამ შანტეკლერი, მაგრად მოლიან მიწაზე შემდგარი, ისეთს „ყიყლიყოს" შემოსძახებს, რომ მართლაც ცისკიდური ნათდება და მზე დიდებულად ამობრწყინდება. ამ დილასავით არასოდეს არ უმღერია, რადგან ხოხობის სიყვარულმა აღაფრთოვანა და ახალი ძალა შემატა. დილის სიცოცხლით ამოძრავდნენ ფრინველები, მწერები, პირუტყვები, ადამიანები ხოხობი მიდის ციცარის წვეულებაში. შანტეკლერს ეს კორიკანა ქალბატონი ეჯავრება და არ უნდა წავიდეს. მაგრამ შაშვი თავის დაცინვაში ვერ იკავებს ღამის ფრინველთა შეთქმულობას, რომელსაც იგი დაესწრო, და უმჟღავნებს შანტეკლერს, რომ იქ მის დასაღუპავად მოწვეული მოჩხუბარი მამალი იქნება. მაშ თუ ასეა, შანტეკლერი მაინც უეჭველად წავა.

III მოქმედება: ციცარის დღეობა. დარბაისელი ქალბატონი სტუმრებს იღებს. შემოდის ზიზილ-პიპილოვანი ფარშევანგი თავისის შეუდარებელის ბოლოთი, რომელიც ქათმების გულის დამტყვევებელია. „მაესტროს" ხელოვნების დაფასებაში თვით რესკინიც არ შეედრება. მისი მძიმედ გამოთქმული ყოველი სიტყვა კანონია საზოგადოებისათვის. შემოდიან სხვა და სხვა ქვეყნიდან მოსული გაწაფული მამლები, რომელთაც თავ-თავისი ტიტული და ორდენი აქვთ. შემოდის შანტეკლერიც, „უბრალო მამლად" მოხსენებული, რომელსაც ყველანი ცხვირ-აბზეკით შეხვდებიან. შანტეკლერი ვერა გრძნობს თავს კარგად ამ ფართი-ფურთში, მაგრამ უცდის თავის მტრის ნიღაბის ახდას. მიზეზიც მალე გამოჩნდება. შანტეკლერმა უსაყვედურა სხვა მამლებს გადაგვარება, ავიკულტორის ხელში გაწვრთნა, ბუნებისაგან დაშორება და შეაქო კოკობი ბუნების შვილი, ვარდი, რაზედაც უცებ ჯგუფში ტლანქი ხმა გაისმა, ვარდი არაფერი ჰლირსო, და ყველამ გზა მისცა ერთს უშნოდ გაგრძელებულს, ფოლადის დეზებიანს თეთრს მამალს. ეგ არის მის მკვლელად მოწვეული მოჩხუბარი მამალი, რომელიც იკვეხის ამერიკასა და ინგლისში მრავალ მამლის მოკვლას. ხოლო ბეჩავს შანტეკლერს ჯერ არავინ მოუკლავს, პირიქით ბევრი სიკვდილისაგან გადურჩენია. გაიმართა დუელი. თეთრი მოჩხუბარი დახელოვნებულია და რამდენიმე შეტაკების შემდეგ ცხვირ-პირზე სისხლს ადენს შანტეკლერს, რომელიც მაინც იბრძვის და თან უმჟღავნებს საზოგადოებას, რომ ის მზის მახარობელია. უცებ ალალი დაუქროლებს კრებას და პატივცემული საზოგადოება შიშით იფანტება, გარბის თვით უძლეველი თეთრი მამალიც. რჩება მხოლოდ შანტეკლერი, რომელიც წიწილებს თავისფრთის ქვეშ იფარავს. ქორი მოშორდება. დუელი ისევ გრძელდება. ახლა შანტეკლერი უძლეველია, რადგან საერთო მტერი მოშორებულია. იგი იერიშით შეუტევს მოჩხუბარს, რომელიც ბოლოს თავის ფოლადის დეზებს იხმარს და „მოკვდის" შეყვილით დასცემს მოპირდაპირეს. მაგრამ შანტეკლერი გადაუხტა. მოქნეული ფოლადი თვით მოჩხუბარის მეორე ფეხს მოხვდა და წააქცია. იგი კოჭლობით გარბის. ამ სცენაზე მხოლოდ საყვარელი ხოხობი და ერთგული პატუ იჭერდნენ შანტეკლერის მხარეს. ყველა სხვანი მის მოწინაამდეგე მოჩხუბარ მამლისა და ფარშევანგის მხარეს იყვნენ. ახლა-კი უგუნური ბრბო ისევ მიეხვია გმირს შანტეკლერს. მაგრამ ეს უკანასკნელი გულ-დაწყვეტილია ყველას გაუტანლობით. „შორს ჩემგან!" შესძახებს იგი და თავის საყვარლის გულ-მკერდს მიეყრდნობა, რომელიც მას თავისუფალს ტყეში იწვევს, სადაც დაუბრუნდება შანტეკლერს, მოძმეთა სიმუხთლისაგან დაკოდილს, დასუსტებული ხმა. შანტეკლერიც სტოვებს განუსჯელთ და ტყეში მიდის.

IV მოქმედება: ბულბულის ღამე. ტყეში თავისუფლად სტკბება ხოხობის სიყვარულით შანტეკლერი. მოდიან ბაყაყები და პირმოთნეობით შეაქებენ მის სიმღერას, დააყენებენ ბულბულზე მაღლა, რომლის ადგილს ამიერიდან შანტეკლერს შესთავაზებენ. ამ დროს გაისმის ბულბულის ციური ხმები, რომელიც ჰხიბლავს მთელს ბუნებას. შანტეკლერი და ბულბული მეგობრებია, რადგან შანტეკლერმა დაიცვა ბულბულის საყვარელი ვარდი. ბაყაყები თავისი ყიყინისა სცდილობენ ბულბულის მღერის გაქარწყლებას. ამის გამგონე შანტეკლერი გააგდებს მათ და შეძრწუნებულია, თუ როგორ შეადარეს მისი უბრალო „ყიყლიყო" ბულბულის ღვთაებრივს მელიდიას. დარწმუნდა, რომ ტყეშიაც ყოფილა უმადურობა და გაუტანლობა, მით უფრო, რომ გაისმა ვიღაცის თოფის ხმა და პაწია მგალობელი, ტყვით განგმირული, მის ფერხთ ქვეშ დაეცა. შანტეკლერი მაინც ჰფიქრობს მუდამ თავის ქათმებზე და თავის ალიონზე. დედალ ხოხობს არ შეუძლიან ეგ შეიგუოს. უნდა, რომ შანტეკლერი მას მარტო ეკუთვნოდეს და სხვას არავის, უნდა დაავიწყოს მზეც. იგი ფრთას გადააფარებს დაღლილს, მწუხარე ფიქრებით მოცულს, ბულბულის მღერით დამტკბარსა და სიყვარულით დამთვრალს შანტეკლერს და ამ დროს ალიონიც გაელფერიანდება. ხომ ჰხედავ, რომ მზე უშენოდ ამოვიდა, აწი მას არ ეკუთვნი არამედ მხოლოდ მეო, ეტყვის ხოხობი. შანტეკლერი გამოფხიზლდება, საშინლად შესწუხდება, მაგრამ მაინც შემოსძახებს თავის „ყიყლიყოს". რა საჭიროა? მე კიდევ დამრჩა სულიერნი გამოსაღვიძებლადო. მან დაივიწყა წამიერად თავისი მოვალეობა და კიდეც დაისაჯა, მაგრამ ის მაინც დაბრუნდება თავის საქათმეში და ჭირ-გადახდილი თავის ყოველდღიურს მუშაობას შეუდგება უფრო მეტის ენერგიითა და მედგრობით და განაგრძობს მანამდის, სანამ ბნელი სრულიად არ მოისპობა დედამიწაზედ. გზაზედ მონადირე დახვდება და გაგარეულებულს მამალს თოფს ესვრის. ხოხობს უნდა ამას ხელი შეუშალოს და გაფრინდება მისკენ, მაგრამ ახლოს დაგებულს მახეში გაებმება. ტყვია ასცდა მამალს, შორიდან მოისმა ისევ მისი „ყიყლიყო". ხოხობი ნუგეშ-ცემულია: დაე მოვიდეს ადამინი, ხოხობი დაიჭიროს და შინ წაიყვანოს! იგი გვერდით ამოუდგება თავის საყვარელს შანტეკლერს და მასთან ერთად ყოველ დილას მზის ამოსვლას მიესალმება...

განა შესაძლებელია ამ პოეზიით სავსე პიესის გადმოცემა? ეგ უნდა წაიკითხოს ადამიანმა დედანში, რომ მთელის მისის წყალ-ჯავარით დასტკბეს. დააკვირდით მის სუჟეტს და მიხვდებით მის ნამდვილს იდეასა და თუ გნებავთ მორალსაც. დასახვა წმინდა იდეალისა, რომლის ცხოველ-მყოფელობა მრწამს და რომლის განხორციელება ჩემზეა დამოკიდებული; მისთვის ყოველ-დღიური მუშაობა, ბრძოლა და მისდამი მოვალეობის პირნათლად შესრულება. მე მრწამს, რომ მზე უჩემოდ არ ამოვა. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემს სასპარეზოში, სადაც ჩემი „ყიყლიყო" მისწვდება, მზის ამოსვლაში, სიცოცხლის ამოძრავებაში მეც მიდევს წილი, როგორც სხვაგან სხვა მამლებს, და ჩემი არჩეულ სწორე გზიდან გადახვევა სიბნელეში გახვევს არე-მარეს. მხოლოდ ასეთი მტკიცე რწმენა ჰქმნის რასმე დიდებულს. ჩემი სიბრძნე და რეზონიორობა ვერ შეედრება ამ რწმენით გამსჭვალულს ჩემს მოქმედებას. ედმონდ როსტანმა პოეტური თვალით განსჭვრიტა ის პრინციპი, რომელიც თანამედროვე პრაგმატიულმა ფილოსოფიამ გაარკვია ინტუიციისა და მოქმედიანობის ფორმულებში.

მერე აიღეთ სიყვარულის იდეა. ნუ თუ ეგ არ გამოსჭვივის თავისის ჭეშმარიტის მნიშვნელობით იმ სცენაზე, სადაც შანტეკლერს ხოხობი შეუყვარდა, და მით აღფრთოვანებულს ამ დილასავით არასოდეს არ უმღერია? სიყვარული განუყოფელია, რაიცა გასაგებს ჰყოფს ხოხობის ეჭვიანობას, და როცა იგი მოვალეობას დაუპირისპირდება, აუცილებელია კატასტროფა. სადა ნახეს ამ პიესაში ზემო-აღნიშნულთა მსგავსმა კრიტიკოსებმა თავის ბურჟუაზიულ იდეალის გამართლება? იმაში ხომ არა, რომ შანტეკლერი მტკიცედ სდგას მშობლიურს ნიადაგზედ, ემსახურება თავის საქათმეს, გადაგვარებულ, ან უცხოურ მოდის მამლების მტერია. ან სად არის პატუს შანტეკლერისადმი მეგობრობაში დადგენილ „წესიერებისა და იერარქიის პატივისცემა"? „სირანო დებერჟერაკის" ავტორმა საყვარლად და მომხიბლავად დაგვიხატა „ბოჰემიელ" ხოხობის თავისუფალი ცხოვრება, თავისუფალს ჰაერში, გაშლილს ტყეში ნავარდი, მაგრამ თან ამას შეუერთა—და არა დაუპირისპირა—შანტეკლერის მოქმედება და გადაჭრილ მიზნის სამსახური. აქ კარგი იქმნებოდა შეგვედარებინა ედმონდ როსტანის „შანტეკლერი" თითქმის ანარქისტ ჟან რიშპენის „მოხეტიალესთან", რომელიც თავის ხეტიალის დროს ბევრს კარგსაც ჰმოქმედებს, მაგრამ ადგილი ნებას არ გვაძლევს. ედმონდ როსტანი უკანასკნელ წლების პოლ ბურჟე და ჟიულ ლემეტრი არ არის, რომ თავისი ჩანგი პოეზიის გარეშე მყოფ საგნებისათვის ააჟღეროს. იგი ჭეშმარიტი ხელოვანია, ხოლო ჭეშმარიტი ხელოვნება და ბურჟუაზიული იდეალი ერთად არ თავსდება, ერთი მეორეს სპობს.

შანტეკლერი ხელს აძლევს გავროშს, ხოლო გავროში—ის პარიზელი „ცელქია" რომელიც 1832 წლის რევოლუციის დროს სტუდენტებთან ერთად ბარიკადებზე გმირულად კვდება. გალლთა მამალმა ერთხელ უყივლა ქვეყანას თავისუფლება და მასვე აქვს უფლება უკანასკნელი სრული განთავისუფლებაც ახაროს. აბა რა აქვთ საერთო რომანტიზმსა და ბურჟუაზიას? ხოლო ედმონდ როსტანი ნამდვილი შვილია რომანტიზმისა, მან განავითარა იგი და აიყვანა უმაღლეს ხარისხამდის, ასე რომ მას შეიძლება ვუწოდოთ „ნეო-რომანტიკოსი". პიერ კორნელი, ვიქტორ ჰიუგო და ედმონდ როსტანი, აი სამი გამოსასვლელი წერტილი ფრანგულის ლიტერატურისა. მსოფლიო ლიტერატურაში ედმონდ როსტანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თავისი უეჭველის ორიგინალობითა და სალის ძლიერის

ციპალურ პროგრამმაში მოთავსებულია მუხლები, რომლებშიაც მოითხოვენ ყველა ამ დამატებითა სასკოლო დაწესებულებათა შემოღებას.

ჰიგიენურ მოთხოვნილებათა დასაცავათ პროგრამმა თხოულობს მუდმივ საექიმო-სანიტარულ მეთვალყურეობას სკოლებზე და მოსწავლეებზე, ყოველ სკოლასთან აბანოს მოწყობას და სწავლის კურსში სავალდებულო საგნად ჰიგიენის შეტანას, რითაც ხალხში ელემენტარული ცნობები ვრცელდება საჭირო სიწმინდესა და ჯანმრთელობაზე, ბევრად უკეთ ვიდრე სახალხო კითხვებით და ლექციებით.

შემდეგ იმავე მიზნებით და აგრეთვე წმინდა პედაგოგიურ მოსაზრებათა გამო—(რათა სწავლის კურსი უკეთ იქმნეს შეთვისებული მოსწავლეთა მიერ,) „მუნიციპალურ სოციალისტების პროგრამმას შეაქვთ შემდეგი მოთხოვნილებაც: ყოველ კლასში მოსწავლეთა რიცხვი ყოველ შემთხვევაში ოც-და-ათს არ უნდა აღემატებოდეს. ეს საყურადღებოა განსაკუთრებით რუსულ სკოლების მიერ, სადაც ხშირათ სამოცი, ოთხმოცის და, ასე გასინჯეთ, ასი მოსწავლეც-კი ზის ერთ კლასში, რომელიც თავის უსუფთაობით, შეხუთულის ჰაერით საპყრობილეს უფრო მოგაგონებთ, ვიდრე სასწავლებელს. სრულიად მეტია იმის მტკიცება, თუ რა დამღუპველი გავლენა აქვს ასეთ პირობებს მოსწავლეთა ფიზიკურსა და გონებრივ მდგომარეობაზე, გარდა იმისა, რომ მოსწავლეთა სიჭარბე ყოველ ღონისძიებას უსპობს მასწავლებელს სწავლის საქმეში სასტიკი ინდივიდუალიზაცია დაიცავს და ყურადღება მიაქციოს ყოველ მოსწავლის განსაკუთრებულ ბუნებას. „რაც უფრო მეტი ბავშვია კლასში, მით უფრო იძულებულია ხელოვნება ადგილი დაუთმოს ხელოსნობას." *)

მაგრამ ხალხი არა მარტო სკოლაში სწავლობს. ყველა ცოტათი თუ მეტად კულტურულ ქვეყნებში არსებობენ მრავალი დაწესებულებანი სკოლის გარეშე განათლებისა, უმეტესად კერძო და საზოგადოებრივ ინიციატივით წარმოშობილნი. ხოლო ეს დაწესებულებანი (სახალხო უნივერსიტეტები, წიგნთ-საცავები, განათლების მეგობართა საზოგადოებანი, ყოფილ მოსწავლეთა კავშირნი, სახალხო კითხვათა საზოგადოება და სხ.), რომელნიც თავს უმთავრესად ქველმოქმედებით ინახავენ, ერთობ ხშირად განიცდიან ნივთიერ საშუალებათა ნაკლებობას, რაიც, ცხადია, მეტად ასუსტებს ამ დაწესებულებებში მომუშავეთა მოღვაწეობას: სწორედ ამ გარემოებითაა გამოწვეული მოთხოვნა, რომლითაც სოციალისტები მუნიციპალიტეტებს მიმართავენ და რომელიც მდგომარეობს რეგულიალურ ნივთიერ დახმარებაში ამგვარ დაწესებულებათადმი და უსასყიდლოდ სადგომების დათმობაში საჭიროებისამებრ.

რაც დასავლეთ ევროპის სკოლამ, ასე თუ ისე, მცირეოდნათ მაინც განახორციელა პრაქტიკულად, ამის ხსენებაც არ არის რუსულ მუნიციპალურ და საზოგადოთ სახალხო სკოლაში. უკანასკნელმა არ იცის არც სასკოლო ბუფეტები, არც საპირისფარეშოები, არც ისეთი კლასსები, სადაც თვალ-ყურს ადევნებენ ბავშვებს იმ დროს, როდესაც ბავშვს შინ არავინ ეგულება; არა აქვს არა თუ აბანოები, არამედ რიგიანი ჰიგიენური სადგომები საკლასსო მეცადინეობისათვის და სხ. და სხ. სკოლის გარეშე განათლების დაწესებულებანი სულს ღაფავენ რუსეთში არა მარტო ნივთიერ გაჭირებისა გამო, არამედ და უფრო მეტად ზნეობრივ შევიწროებათა გამო. სახეში გვაქვს ერთის მხრით ძლიერი ადმინისტრატიული რეპრესიები და მეორეს მხრით სამშობლო ენით სარგებლობის უფლების შეზღუდვა იმ ადგილებში, სადაც არა რუსნი ბინადრობენ რაიც, რასაკვირველია, სრულიად ეთანაბრება იმ ნაციონალისტურ პოლიტიკას, რომელმაც ეგრე მტკიცეთ მოიდგა ფეხი ეგრედ წოდებულ „ინოროდცების" სკოლასა და საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა-და-სხვა სფეროში.

გრ. გველესიანი.

(შემდეგი იქნება)

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, თუმცა ავტორს ბევრში არ ვეთანხმებით: განსაკუთრებით გადაჭარბებულად მიგვაჩნია „შანტეკლერის", როგორც ხელოვნური ნაწარმოების, დაფასება. რედაქცია ეცდება ამ პიესაზე თავისი აზრი გამოსთქვას ახლო მომავალში. რედ.

*) იხ. Дамашке, გვ. 22.

შემოქმედებით. ამდენ ბუნდოვანისა და თავდაყირა მდგარ მწერლების შემდეგ ედმონდ როსტანის პოეზია სწორედ წმინდა ჰაერია, გაშლილი მწვანე ტყე-მინდორია სულ-შემხუთველ ქალაქის მტვერთან შედარებით.

ამ მოკლე წერილში მოუხერხებელია უფრო ვრცლად განხილვა „შანტეკლერისა“, ჩვენება მისის ფრანგულ გონება-მახვილობისა თვით უმაღლეს ლირიზმას დროსაც, ზოგიერთ სუსტ ან ზედმეტ ადგილებისა (მაგალითად პროლოგი და მესამე მოქმედებაში თითქმის მთელის ქვეყნის მამლების თავ-მოყრა). ორიოდე სიტყვა მხოლოდ მოთამაშეთა შესახებ. ამ პიესის გადმოცემა და თამაში სხვა ენაზე თითქმის შეუძლებელია. მიუხედავად ედმონდ როსტანის ცნობილ მთარგმნელ ქალის მეცადინეობისა, ჩვენ ისეთი სიტყვები და ფრაზები გვესმოდა სცენიდან, რომ დედანს სრულიად არ შეეფერებოდა. მერე ტანისამოსები და დეკორაციები? პორტ-სენ-მარტენის თეატრში ნახევარი მილიონი დაიხარჯა ამის მოსაწყობად, რომ ფრინველ-პირუტყვთა მოთამაშე პირნი სასაცილონი არ გამოსულიყვნენ, და როგორ შეუძლიან პროვინციის თეატრს იმდენი დახარჯოს. რომ მდგომარეობა მართლა კომიკური არ გამოვიდეს, როგორც მაგალითად კვირის წარმოდგენაში, სადაც ხოხობის ბოლო რაღაც ჯაჭვს წამოედო და თავის კავალერს ჩამოშორდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ „შანტეკლერი“ ჩვენს თეატრებში წარმოსადგენი არ არის, იმისი წაკითხვა გაცილებით უფრო მეტს ესთეტიურს სიამოვნებას მოიტანს. ძალიან სუსტი იყო თვითონ უმთავრეს როლის, შანტეკლერის შემსრულებელი ბ-ნი სოკოლოვი, რომელსაც არც აღფრთოვანება ეტყობოდა და არც შესაფერისი ხმა ჰქონდა. არაუშავდა რა ხოხობს, ქ-ნ სოფია ჩარუსკაიას, რომ შესაფერი მოწყობილება ჰქონოდა. ძაღლის პატუს როლი, არც ისე უმნიშვნელოა, როგორც ეს წარმოუდგენია ბ-ნს პენიაევს, რომელსაც გარეგნობაც სამისო არ ჰქონდა. ყველას სჯობდა შაშვი, ბ-ნი ერმოლოვი, რომელიც უეჭველად ნიჭიერი ახალგაზდა მსახიობი უნდა იყოს. მხოლოდ დამცინავი, ცუღლუტი შაშვი მან დაგვიხატა ცელქ, მაგრამ უმზაკვრო პარიზელ gamin-ად. ბულბულის საუცხოვო ლექსი სრულიად დაიკარგა ქ-ნ კარელინის გადმოცემაში. პიესის ბევრი ადგილი იყო გამოტოვებული. მე განსაკუთრებით ყურადღება მივაქციე ხოხობის წარმოშობის ამბავს და აქ კოლხიდა სულაც არ იყო ნახსენები. სამაგიეროთ ჩამატებული იყო მესამე მოქმედებაში „კეკ-ვოკის“ თამაში, რომელიც იქნება გასართობად კარგია, მაგრამ რამდენადაც ვიცი, პიესაში არ არის. თეატრი კვირის წარმოდგენაზე სავსე არ იყო.

მ. გ—ია.

ტფილისის სათ.-აზნაურთ ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება

(კვირის სხდომის გაგრძელება*)

თავმჯდომარე წინადადებას იძლევა ილაპარაკონ ანგარიშში აღნიშნულ წესზე.

ვ. მაჩაბელი. თავმჯდომარეს ეკითხება, რამიზეზია, რომ ხშირად დამგირავებელნი ჩვენ ბანკს თავს ანებებენ ხოლმე და გადადიან სხვა ბანკებში?

მ. გრუზინსკი. როგორც წევრი გამგეობისა ის მოვალეთა სთვლის შენიშნოს, რომ გამგეობა ამ კითხვაზე სამისო ვერას უპასუხებს, იმიტომ რომ ჯერ ერთი კითხვა რთულია და მერე არც თუ ისე აუცილებელია ამ კითხვის გადაწყვეტა, რადგან სულ ერთია ჩვენთვის მამული რომელ ბანკში გადაქვთ და ან რა მიზეზით, ჩვენთვის აღსანიშნავი მხოლოდ ის არის რომ ვალი სულ ერთიან გადახდილია და სხვა არაფერი.

ა. ფურცელაძე. მე როგორც გამგეობის თავმჯდომარე ვაცხადებ, რომ ჩვენი ბანკი ვალის მოსპობით არაფერს არ ჰკარგავს. სხვაფრივ კი დაწვრილებით ამ კითხვაზე პასუხის მიცემა უხერხულად მიმაჩნია.

ვ. მაჩაბელი. აღნიშნავს, რომ ეს კითხვა ეხება დამფასებელ კომისიისა და გამგეობის მოქმედებას, და რადგან მოსპობილი ვალის ჯამი ძრიელ მნიშვნელოვანია, ორ მილიონზედ მეტი, ამიტომ ამ კითხვას ღირსეული ყურადღება უნდა მიექცეს.

გედევანიშვილი. ამ კითხვის მრავალმხრივ გამოსარკვევად საჭიროა ისიც გავიგოთ თუ სხვა ბანკებიდან რამდენი მამული გადმოდიოდა ჩვენ ბანკში.

თავმჯდომარე. წინადადებას იძლევა შემდეგ წლისთვის გამგეობამ დაწვრილებითი ანგარიში წარმოადგინოს ამ კითხვებზე.

გიგო დიასამიძე თხოულობს ზედამხედველ კომიტეტის ანგარიშს.

ა. ფურცელაძე. ამის წინააღმდეგია, რადგან ეს ანგარიში ჯერ გამგეობას არ განუხილავს.

ყაზბეგი. ფურცელაძის პასუხს შეუფერებლად სცნობს, რადგან ბანკის წესდებით ზედამხედველი გამგეობას უწევს კონტროლს და არა წინააღმდეგ.

თავმჯდომარე. კენჭს უყრის დიასამიძის წინადადებას და ხმის უმრავლესობით იღებს კრება.

წაიკითხეს ზედამხედველ კომიტეტის ანგარიში.

მ. მაჩაბელი. აღნიშნავს ნაკლს დამფასებელი კომისიისას, შემდეგ ადარებს სახელმწიფო ბანკის დამფასებლებს და ურჩევს ზედამხედველ კომიტეტს და გამგეობას, რომ მათაც საერთო ძალ-ღონით გამოიმუშაონ ჩვენი დამფასებლებისთვისაც შესაფერი პირობები, რომ მათმა შრომამ მეტი ნაყოფი გამოიღოს.

ვ. ვაჩნაძე. ეხება დამფასებელ კომისიის რევიზიას, აღნიშნავს ნაკლს და ღირსებას. სხვათა შორის დამფასებელთა რიცხვის მომატებას თხოულობს.

ქ. მაყაშვილიც აღნიშნავს საქმეების მომატებას და დამფასებელთა სიმცირეს. მცირე კამათის შემდეგ გამოაქვთ რეზოლიუცია. მოისმინეს რა დამფასებელი კომისიის მოხსენება, მის თავმჯდომარისა და ბანკის ხელმძღვანელ ორგანოებისა დაადგინა მიიღოს შემდეგისთვის მხედველობაში.

კრება დაიხურა.

თეატრი და ხელოვნება

რუსული დრამა ქართულს თეატრში. კვირას, 23 მაისს, ი. რ. პელტცერის დასმა ქართულს საზაფხულო თეატრში დასდგა ფერტერის კომედია გერმანელ სტუდენტების ცხოვრებიდან—„ძველს ჰაიდელბერგში“. არსებითად ეს ნაწარმოები უფრო დრამად შეიძლება ჩაითვალოს ვიდრე კომედიათ: მართალია მასში ბევრია კომიკური ელემენტები, მაგრამ ცენტრალური ადგილი ყოველს შემთხვევაში ახალგაზრდა სტუდენტის—მემკვიდრე პრინც კარლ-ჰაინრიხის სულიერს დრამას უჭირავს, რომელიც ოფიციალურ ვალდებულების შეგნებასა და ახალგაზდობის მოთხოვნილებათა შეტაკებაში მდგომარეობს. კარლ ჰაინრიხი იძულებული ხდება თავი დაანებოს ამღვზნები სიამოვნებით და ახალგაზრდული სიცელქით ალსავსე წარმტაც აკადემიურ ცხოვრებას და ხელი მოჰკიდოს პაწია სამთავროს მართვა-გამგეობას, რომელიც სულიერი მარტოობისა, მოუხეშავი სადარბაზო ეთიკეტისა და მძრახლი მოხსენების მეტს არაფერს უქადის მას. ახალგაზრდა არისტოკრატის ჯერ ნარნარი მორცხვობით, შემდეგ ჯანსაღი სიცელქით, ბოლოს კი უსაზღვრო კაეშანით გამსჭვალული ბუნება მშვენიერად გადმოგვცა ბ. ი. პელტცერმა. ძლიერ კარგები იყვნენ სხვა მთავარი როლების ამსრულებელნიც, განსაკუთრებით ქ-ნი პოპოვა გულუბრყვილო, ნაზად მგრძნობიარე „კეტეს“ როლში; აგრეთვე ბ-ნნი კარენინი (კამერჰერრი ლუცი) გოლოვინი (დოქტორი იუტნერი), ლენსკი (მინისტრი ფონ-რაუკი) და სხ. სტუდენტების ჯგუფს აკლდა ცოტათი ინტელიგენტური შნო და სილაზათე, რომელსაც გერმანელი სტუდენტები სიმთვრალეშიც იშვიათად ჰკარგავენ. სხვაფრივ ეს კომედია თითქმის უნაკლულოდ იყო დადგმული.

საზოგადოთ ეს დასი ძლიერ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. საუცხოვო ანსამბლი, როლების კარგი ცოდნა, თვითეული პიროვნების ფსიხიკის შეგნებულად გათვალისწინება! რეპერტუარიც საინტერესო და თანამედროვე ცხოვრებასთან შეფარდებულია. ხალხი ჯერ-ჯერობით ცოტა ესწრება, მაგრამ იმედია რომ ბ. პელტცერის დასი ჩქარა მოიხვეჭს საზოგადოების სიმპატიას.

—

სახალხო თეატრი. ორშაბათს, 24 მაისს, ქართულ სასცენო ხელოვნების მოყვარულთა დასმა წარმოადგინა ნინოშვილის თხზულებიდან გადმოკეთებული ოთხ მოქმ. დრამა „ქრისტინე“ და ვოდევილი „ტიმოთეს ლ-ლევი“. საერთოდ წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა. ქრისტინეს როლს ასრულებდა ქ-ნი კ-ვთელი. თავისი რთული როლი შესაფერისად კარგად ჩაატარა ამ ახალგაზდა სცენის მოყვარემ. კარგი იყო იგი მეტადრე მეორე მოქმედებაში, როცა იგი თავის გაჩენის დღის მაწყევარი, სოციალურ პირობებით შექმნილ უსამართლოებით გამწარებული, ეთხოვება თავის გოგის, სამშობლო კერას, და სხ.

ბ-მა ბალაშვილმა ტიპიურად ვერ დაგვიხატა მკვირცხლი, ფიცხი ბუნების პატრონი გურული გლეხი დათია ხელმოკლიძე. მეტად მოუხეშავი იყო იგი პირველ მოქმედებაში. გურულობისა მას არაფერი ემჩნეოდა. არც შესაფერი ტანისამოსი ეცვა. ვგონებ ახალი „ჩერქესკით“ სამუშაოდ არ წავა გლეხი და მერე ისეთი ხელმოკლე, ღატაკი როგორიც დათიაა. არა უშავდა რა ქ-ნ არაგვისპირელს, ზნეობა დაცემულ, სულით დამახინჯებულ, გაქსუებულ სონას როლში. იასონ უქმაძის (გოგაშვილი) მიხვრა-მოხვრა ნამდვილი ველაზრული იყო. სუსტნი იყვნენ დანარჩენი მოთამაშენიც. წარმოდგენას სხვა დეფექტებიც ჰქონდა. ქალები, მეტად ხმა დაბლა ლაპარაკობდნენ. ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე იმანაც, რომ დათიას, რომელსაც მჭადიც არა აქვს თავის დროზე, მაგიდაზე სავახმიდ თეთრი პური დაუდეს.

ქრისტინეს სულიერი ტანჯვით აცრემლებული საზოგადოება ბევრი აცინა გრიშაშვილმა და გოჩიტაშვილმა „ტიმოთეს ლღვში“. ხალხი ბლომად დაესწრო.

სანგანიძე.

უცხოეთი

საფრანგეთის სამხედრო ჰაეროსტატების ფლოტი.

საფრანგეთის სამხედრო მინისტრს გენერალ ბრიუნს პარიზელ „ჟურნალის“ წარმომადგენელთან საუბარი ჰქონია საფრანგეთის მფრინავი სამხედრო ფლოტის პროგრამაზე.—ამ პროგრამმის მიხედვით საფრანგეთს გადაუწყვეტია 4 წლის განმავლობაში 14 მფრინავი ჯავშნიანი გემი ააშენოს, რომელთაც 5 კილომეტრის სიმაღლეზე შეეძლება ასვლა და მაშასადამე უზრუნველ ყოფილი იქნება მტრის არტილერიისაგან. ამას გარდა სამხედრო სამინისტრო აკეთებს 6 მზვერავ დირიჟაბლს უფრო პატარა ზომისას·—საჭირო ხარჯის დიდს ნაწილს დაჰფარავს ის შემოწირული ფული, რომელიც გაზეთ „ტან“-მა შეაგროვა. „ჟურნალის“ თანამშრომლის შეკითხვაზე—თუ რას ჰფიქრობს სამხედრო მინისტრი გერმანიის „მფრენავ ფლოტებზე“ გენერალმა ბრიუნმა შემდეგი უპასუხა:—გერმანიის ფლოტის ალლუმმა დაადასტურა ჩემი შეხედულება 1909 წ. აშენებული ჰაეროსტატების შესახებ: ისინი მართლაც უვარგისნი აღმოჩნდენ სამხედრო მიზნებისათვის, განსაკუთრებით თუ მათ სიძვირესაც მივუმატებთ მხედველობაში.—ბოლოს გენერალ ბრიუნმა მიუთითა იმ გარემოებას, რომ საფრანგეთის არმიას ეხლა 15 ჰაეროპლანი აქვს და ახლო მომავალში მათი რიცხვი გაორკეცდება. მინისტრის აზრით ჰაეროპლანების მაგიერობას „ჰაერის ბურთები“ (ჰაეროსტატები) ვერ გასწევენ, მაგრამ ამ უკანასკნელთ ქონა მაინც არის საჭირო ზოგიერთ განსაკუთრებულ მიზნებისათვის.

ინგლისი და რუსეთი სპარსეთში.

„დაილ მაილ“-ი იუწყება: „სპარსეთი დარწმუნდა, რომ ინგლისმა და რუსეთმა მტკიცედ გადასწყვიტა არავითარ შემთხვევაში არ დასთმონ, რომ სპარსეთში მათი უპირატესობანი დაარღვიონ. თუ რომ სპარსეთის მთავრობა სარკინის გზა ან სხვა რაიმე კონცესიას გასცემს, რომელიც ამ პრივილეგიებს ეწინააღმდეგება, ინგლისის და რუსეთის მხრივ ენერგიული ზომები იქნება მიღებული მათ მოსასპობად. გერმანიის მოქმედებას შეუძლია ისეთი შთაბეჭდილება გამოიწვიოს თითქო იგი სცდილობდეს ხელი შეუწყოს სპარსეთის ზოგიერთ წრეების ინტრიგების გაძლიერებაში, თუმცა თვით გერმანია ირწმუნება, რომ იგი მხოლოდ ვაჭრობის თავისუფლებას ეძებს თავისი საქონლისათვის. ასეთი პრეტენზია ინგლისმა და რუსეთმა კანონიერად სცნო, მაგრამ იგი არ უნდა გავრცელდეს იმ კონცესიებზე, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ან და კომერციულ მონოპოლიის ეთანაბრება.

რუსეთი

✦ **პროტესტი ფინლიანდიის კანონ-პროექტის წინააღმდეგ.** რუსეთის მთავრობის ფინლიანდიის კანონ-პროექტის წინააღმდეგ პროტესტი განუცხადა გერმანელთა ნაციონალურმა კავშირმა ავსტრიაში, იტალიის პარლამენტმა, რომელზედაც 77 დეპუტატს უწერია ხელი და ნიდერლანდების მეორე პალატის 50 დეპუტატმა.

✦ **არალეგალური ლიტერატურა.** კიევის სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის „მარკულეშტის“ სადგურზე, ჟანდარმებმა გაჩხრეს დიდი ყუთები, რომლებზედაც ეწერა: „თიხის ჭურჭელი“. ყუთებში დიდძალი არალეგალური ლიტერატურა აღმოჩნდა. ეს ლიტერატურა რუმინიიდან ცენტრალურ რუსეთის სარევოლიუციო ორგანიზაციებს ეგზავნებოდა. მიიღეს ზომები გამგზავნელთა აღმოსაჩენად.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვს პეტერბურგში 29, ჩერნიგოვში ერთ კაცს.

✦ **სახელმწიფო სათათბიროში.** სახელმწიფო სათათბიროში უკვე დამთავრდა დასავლეთის ექვს გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ კანონ-პროექტის მუხლობრივი განხილვა. მიიღეს რამდენიმე წვრილი კანონ-პროექტი. კანონ-პროექტი მოსკოვის პოლიციაში მსახურთა ჯამაგირების მომატების შესახებ ქალაქების ხარჯზე — უარყვეს.

✦ **მცხოვრებთა რიცხვის მომატება.** ჟურნალ „ეჟეგოდნიკ როსიის“ გამოანგარიშებით რუსეთში 1897 წლიდან 1909 წლამდე მცხოვრებთა რიცხვმა 31,199,000 სული მოიმატა, ისე რომ წარსული წლის პირველ იანვრისთვის რუსეთში ირიცხებოდა სულ 160,095,200 სული ორივე სქესისა. ამათგან რუსები 65,5 პროც. ოსმალოები და თათრები 10,6 პროც. პოლონელები 6,2 პროც. ფინლიანდიელები 4,5 პროც. ებრაელები 3,9 პროც. ლიტოველები და ლატიშები 2,4 პროც. გერმანელები 1,6 პროც. და სხვა ერები 5,3 პროც.

✦ **ბერ ილიოდორს აუჯანყდნენ!** ქ. ცარიცინის გამგეობამ დაადგინა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრას ბერ ილიოდორის ქალაქიდან გაძევების შესახებ, რადგან იგი მცხოვრებლების ერთ ნაწილს მეორე ნაწილზე ამხედრებს. ამას კი შეიძლება დიდი სისხლის ღვრა მოჰყვესო.

✦ **კანონ-პროექტი ბეჭდვის შესახებ.** როგორც „რუსკ. ვედომ.“ გადმოგვცემს მთავრობამ დიდი ყოყმანის შემდეგ გადასწყვიტა შემოდგომისთვის სათათბიროში განსახილველად შეიტანოს კანონ-პროექტი ბეჭდვის შესახებ.

✦ **ჭეშმარიტი რუსები.** ოდესის ჭეშმარიტ რუსთა კავშირებმა ფინლიანდიის საკითხის გამო შეერთებული, კრება მოახდინეს. ილაპარაკა გენერალმა ტოლმაჩევმა, შავრაზმულ გაზეთ „რეზნიის“ რედაქტორმა გლობაჩევმა, როძევიჩმა და სხვ. ტოლმაჩევმა სხვათა შორის სთქვა: ფინლიანდიის, კავკასიის და პოლონეთის საკითხებზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა რუსის ხალხის შორის „მოღალატეები“ გაჩნდებიანო. შემდეგ გენერალმა მოუწოდა მონარქისტებს შეერთდნენ და მხარი დაუჭირონ მთავრობას, რომ ფინლიანდიის კანონ-პროექტი ცხოვრებაში მალე გაატარონ.

✦ **არაჩვეულებრივი შემთხვევა ქალაქის გამგეობაში.** პეტერბურგის ქალაქის გამგეობაში არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა. კრებაზე უნდა გადაეწყვიტათ დაენიშნათ თუ არა სხვა და სხვა კომისიების თავმჯდომარეებს ჯამაგირი. გამგეობის მემარჯვენე წევრები ასახელებდნენ ჯამაგირის რაოდენობას, მაგ. 6,000,4000,2000 მან. მაგრამ ოპოზიცია თვითეულ შემთხვევაში მათ წინააღმდეგ ილაშქრებდა და მათ წინადადებას აქარწყლებდა. მაშინ ერთმა მემარჯვენემ კლიმენკომ სამასხროდ წინადადება მისცა თავმჯდომარეს ჯამაგირად წელიწადში ერთი მანეთი დაუნიშნონ. ამით ისარგებლა ოპოზიციამ და 45 ხმით 32 ხმის წინააღმდეგ მიიღო წინადადება. მემარჯვენეებმა აურ-ზაური ასტეხეს, მაგრამ ამაოდ. ამგვარად კომისიების თავმჯდომარეთ წელიწადში ერთი მანეთი ექნებათ ჯამაგირი.

✦ **ლოთობამ იკლო.** ტომსკის გუბერნიაში ამ ბოლო დროს ლოთობამ ცოტათი იკლო. მაგ. ტომსკ-სემიპალატინის სააქციზო სამმართველოს საწყობიდან ამ ბოლო თვეებში გაყიდულა 177,780 ვედრა სხვა და სხვა სასმელი 1654,868 მანეთისა. შარშან ამ დროს კი გაყიდულა 215,947 ვედრა სასმელი. იქნება ეშველოს რუსეთს!

✦ **ემიგრაცია.** ამ ბოლო დროს ემიგრაციამ ფართო სახე მიიღო. მაგ. უკანასკნელ ხანებში ერთი გემით ლიბავიდან 876 კაცი წავიდა ამერიკისაკენ. მომეტებული ნაწილი ებრაელები, ბელორუსები და პოლონელები არიან.

✦ **შვილების გაყიდვა.** სვიაჟის და ტეტიუშის მაზრაში გაჩნდნენ კავკასიიდან ჩამოსული ქალებით მოვაჭრენი. სოფელ რუსოვკაში და ბაკირჩაში შიმშილით შეწუხებულმა თათრებმა ორი ახალგაზრდა ქალი მიყიდეს მათ, ერთი 14 წლისა-95 მანეთად და ერთი 17 წლისა 150 მანეთად.

✦ **ოთხი წლის ბავშვის გაუპატიურება.** დმიტროვის საპატიმროში ჩაამწყვდიეს 90 წლის გლეხი გორბატოვი. ეს მოხუცებული თავისი მხეცური ჟინიანობით განთქმული იყო მთელ სოფელში. ქალები მას ისე გაურბოდნენ, როგორც ცხვარი მგელს და იგი იძულებული იყო მათხოვრებით დაკმაყოფილებულიყო. ბოლო დროს გორბატოვმა გააუპატიურა თავისი შვილის შვილის შვილი ოთხი წლის ბავშვი და ეს იყო მიზეზი მისი დაპატიმრებისა.

✦ **თავის დახრჩობა.** პეტერბურგში მიხნინის ქუჩაზე გარადოვმა შეამჩნია, რომ ერთ კაცს რაღაც ტილო მიჰქონდა. მან იგი შეიპყრო. შეპყრობილი დიდხანს ემუდარა გოროდოვოის გაეშვა იგი, რადგან უკიდურესმა გაჭირებამ და ცოლშვილის სიმშილმა აიძულა ქურდობა დაეწყო. პოლიციაში მაინც წაიყვანეს. აქ მან უარი განაცხადა ვინაობის გამორკვევაზე და საპატიმრო ოთახში ჩაამწყვდიეს. პატარა ხანს უკან იგი ოთახში მკვდარი ნახეს. ქამრით თავი ჩამოეხრჩო.

✦ **ახალი კანონპროექტი** იუსტიციის მინისტრმა სათათბიროში შეიტანა განსახილველად კანონპროექტი კავკასიის საპატიმროთა მართველობის რეორგანიზაციის შესახებ.

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბეჲ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—108)

დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6½ ს. საზებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან 1910 წ.

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

ტფილისიდან გადის

ბათუმისკენ: N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28 წ.
N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24 წ.
N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 წ.
ბაქოსკენ: N 2, სწრაფ.—დილ. 8 ს. 15 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4 წ.
N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38 წ.
ბორჯომისკენ: სამგზ.—დილ. 8 ს. 28 წ.
სამგზავ.—დღ. 3 ს. 36 წ.
ჯულფისკენ: საფოსტო—ღამ. 12 ს. 22 წ.
ერევნისკენ: სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 წ.

ტფილისში მოდის

ბათუმიდან: N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4 წ.
N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4 წ.
ბაქოდან: N 1, სწრფ.—საღამ. 10 ს. 36 წ.
N 3, საფოსტ.—დღ. 12 ს. 24 წ.
N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58 წ.
ბორჯომიდან: სამგზ.—დილ. 6 ს. 28 წ.
სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 წ.
ჯულფიდან: საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 წ.
ერევნიდან: სამგზავ.—დღის. 6 ს. 33 წ.

ვ. ყიფიანის დრამა

სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

ფასი ორი აბაზი

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

◀ დიდი იაფობა ▶

20 მაისიდან 10 ივნისამდე

პარიზის მაღაზია

დამზადებულ ტანისამოსისა

ძმ. საფარიანცისა და ტერ-სააკოვისა

ნიშნავს დიდ

იაფობას

◀ 20 მაისიდან—10 ივნისამდე 1910 წ. ▶

ფასები შეუვაჭრებლად

გოლოვინის პროსპექტი ტელეფონი № 258 (10—5)

20 მაისიდან 10 ივნისამდე

◀ დიდი იაფობა ▶

---

*) იხ. „სახალ. გაზეთი„ N16

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა.